პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 53 (13174) | პარასკევი, 5 მარტი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხიდის აწმყო და მომავალი

კოლხიდა ადამიანის სამსახურში

კოლხიდა! რა ღრმა შინაარსია ჩაქსოვილი ამ სიტყვაში. რამდენი ლეგენდა, ზღაპარი, ნამდვილი ამბავი და ისტორიული დოკუმენტია შექმნილი კოლხიდაზე. უხსოვარი დროიდან კოლხიდა კარგად იყო ცნობილი ათენსა და რომში. რამდენ უცხოელ მეცნიერს, მწერალსა და ისტორიკოსს უმოგზაურია „ოქროს საწმისის“ სამშობლოში.

ბევრი, ძალიან ბევრი დაწერილა კოლხიდაზე, საიდანაც ძველთათ უცხოეთში გაქონდათ ხორბალი, ბრინჯი, კანაფი, სელი, ბეწვეული, ხილი და სხვა პროდუქტები. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ოდესღაც კოლხიდის მიდამოები დიდ სიმდიდრეს იძლეოდა.

მაგრამ დროთა ვითარებაში ეს ძვირფასი ფართობები წყალმა დაფარა. დაჭაობდა ასეულ ათასობით ჰექტარი მიწა. გაუვალი ტყეები და ბუჩქნარები ჭაობში მოექცნენ. ამან შექმნა ტროპიკული მალარიის ბუდე.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. პარტიამ ამოცანად დასახა კოლხიდის ჭაობების ამოშრობა, მალარიის მთლიანად მოსპობა და ამის საფუძველზე მოსახლეობის ხსნა დამღუპველი სენისაგან.

ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ გმირი ადამიანები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევს 1932 წელს სპეციალურად შექმნილი „კოლხიდშენი“. 220.000 ჰექტარი დაჭაობებული მიწის ამოშრობა გახდა საბრძოლო პროგრამა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დასახული ღონისძიებების შედეგად დიდი მუშაობა იქნა გაწეული. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა თავიანთი სიტყვა თქვეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

და დღეს სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ კოლხიდაში ადრე გაბატონებული საშინელი ავადმყოფობა მალარია მთლიანად მოსპობილია. დღემდე დაშრობილ 66.000 ჰექტარ მიწაზე სიცოცხლე, ცხოვრება დამკვიდრდა. შავი ზღვის სანაპიროების ნაჭაობარზე შეიქმნა ათობით კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

ახალ მიწაზე გაშენდა და კვლავაც შენდება ჩაის, დაფნის, ეთერ-ზეთოვანი კულტურების, ციტრუსების პლანტაციები. ითესება ძველთაძველი კულტურა — ბრინჯი, სიმინდი. ხარობენ სუბტროპიკული მცენარეები, იქმნება უდიდესი ქარსაცავი ზოლები, შენდება ტყეები, პარკები, სკვერები, ხეხილის ბაღები...

კოლხიდაში დიდი შეტევა გრძელდება. ჭაობს ებრძვიან სამამულო მარკის ბულდოზერები, სკრეპერები, სატუმბავი სადგურები, არხმჭრელები, ტრაქტორები, ჩვენი შესანიშნავი ადამიანები, სპეციალისტები, მელიორატორები, გეოლოგები...

სულ მალე ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა მთლიანად ჩადგება ხალხის სამსახურში. ამ დიდ, საშვილიშვილო საქმეში მთელი საქართველო მონაწილეობს. ჩვენი ზღაპრული კოლხიდა ფრთებს შლის, წინ მიიწევს, იმარჯვებს კომუნიზმის მშენებლობის დამკვრელურ ფრონტზე.

მთელი ენერგია, ცოდნა, გამოცდილება მოვახმაროთ კოლხიდის დაბლობის დაშრობას! შენდება, მშვენდება კოლხიდა — ჩვენი უამირი.

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲨᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲐ

დიდი საშვილიშვილო საქმე კეთდება კოლხიდაში. ფართო ფრონტით გაიშალა შეტევა დაჭაობებული ფართობების ამოსაშრობად. ყოველწლიურად ათასობით ჰექტარი ნოყიერი მიწა ჩადგება ხალხის სამსახურში. სამამულო ტექნიკით აღჭურვილი ადამიანები ებრძვიან ჭაობებს.

ამ სურათზე (ზევით) აღბეჭდილი არიან კოლხიდის ჭაობების დამშრობი მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): მებულდოზერე ი. შენგელია, მძღოლი ს. ნოდია, მექანიკოსი რ. მაკალათია, ტრაქტორისტი შ. გვასალია, მძღოლი ვ. მითაგვარია, მექანიკოსი ი. ფოჩხუა, მშენებელთა ბრიგადირი ბ. გელენავა, ოსტატი დ. გელენავა, მებეტონე ჯ. საჯაია, მექანიკოსი ი. კუკავა და ბ. საჯაია, დურგალი ს. საჯაია და ოსტატი ნ. სიმონავა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მარცხნივ — კოლხიდის ჭაობების დაშრობის სქემა.

• • •

კოლხიდაში დიდი სამუშაოების შესახებ მასალები იხილეთ ჩვენი გაზეთის მეორე და მეოთხე გვერდებზე.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულთა და სამხედრო დანაშაულთა ჩამდენი პირების დასჯის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ როდის არის ჩადენილი ეს დანაშაულები

აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს კაცობრიობას ჰიტლერელმა დამნაშავეებმა, რომლებმაც მსოფლიო ომი გააჩაღეს. ათობით მილიონი სრულიად უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის ბავშვები, ქალები და მოხუცები მხეცურად დახოცეს, აწამეს სიკვდილის ბანაკებში, დახარჩეს გაზის კამერებში. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ბრალი მიუძღვით იმაში, რომ მასობრივად წაასხეს მონებად საბოლოოდ ქალაქი მოსახლეობა, მხეცურად ეპყრობოდნენ სამხედრო ტყვეებს, बარბაროსულად დაანგრიეს ათასობით ქალაქი და სოფელი.

საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებმაც ყველაზე მეტი ზარალი განიცადეს ომში, ვერ შეურიგდებიან იმას, რომ ფაშისტი बार्बაროსები დაუსჯელნი დარჩნენ. საბჭოთა სახელმწიფო მუდამ ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმებით იმის შესახებ, რომ საჭიროა დასასჯელ ჰიტლერელი დამნაშავეები, სადაც და რამდენ ხანსაც უნდა ემალებოდნენ ისინი მართლმსაჯულებას.

ითვალისწინებს რა, რომ ხალხთა სინდისი და მართლშეგნება ვერ შეურიგდება ფაშისტ დამნაშავეთა დაუსჯელობას, რომლებმაც უმძიმესი ბოროტმოქმედებანი ჩაიდინეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

მიაჩნია რა, რომ ამ პირებს არ შეუძლიათ აქონდეთ პატიებისა და მათ ბოროტმოქმედებათა დავიწყების იმედი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, რომლებმაც თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში,

ადგენს:

ნაცისტი დამნაშავეები, რომლებმაც ჩაიდინეს უმძიმესი ბოროტმოქმედებანი მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაულები, უნდა გასამართლებულ იქნენ და დაისაჯონ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხანი გავიდა დანაშაულთა ჩადენის შემდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.

1965 წლის 4 მარტი.

შეწყდეს აგრესია

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევართვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარემ გ. მატერევმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ლინდონ ბ. ჯონსონს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც საბჭოთა წითელი ჯვრის მილიონობით წევრის სახელით დაბეჯითებით მოუწოდა პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფო მეთაურს, რომელსაც მთელი ძალაუფლება აქვს თავის ქვეყანაში, გამოიჩინოს ადამიანობა და სახელმწიფოებრივი სიბრძნე, შეწყვიტოს აგრესიული ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და მისცეს მას საშუალება, რომ თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები.

აგრესიის შემდგომი განგრძობა გააძლიერებს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის გულისწყრომას, ხალხის მრისხანებას კი შეიძლება მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვეს, ხაზგასმულია დეპეშაში. (საქდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

1. ელიზარაშვილი გიორგი ივანეს-ძე — ქალაქ გურჯაანის სახანძრო რაზმის მეხანძრე.
2. კუპრავიშვილი გიორგი ვალერიანის-ძე — სოფელ კაჭრეთის ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის უფროსი.
3. კურდღელაშვილი ალექსანდრე დავითის-ძე — ქალაქ საგარეჯოს სახანძრო რაზმის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი,
1965 წლის 4 მარტი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:

1. გრიგოლია შოთა ამბერკის-ძე — მილიციის მაიორი.
2. იოსელიანი გურამ ლეონტის-ძე — მილიციის უფროსი ლეიტენანტი.
3. სუჯაშვილი გერმანე გიორგის-ძე — მილიციის ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი,
1965 წლის 4 მარტი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უფრო სწრაფად დავნერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები წარმოებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა საკითხი, თუ როგორ ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები რუსთავის მეტალურგიულ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში. ამ საწარმოთა პარტიულ-ეკონომიური ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს. დაინერგა ახალი ტექნოლოგია, მექანიზებული და ავტომატიზებულია რიგი საწარმოო პროცესები, დადგმულია ახალი აგრეგატები და სხვ.

ახლა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ბრძოლდება მუშაობენ საკერძში გაზის გადიდებული წნევით, გამოიყენება ბუნებრივი გაზი, ავტომატიზებულია მეტალურგიული ციკლის მთელი რიგი პროცესები. ამის შედეგად მნიშვნელოვნად იზოგება მატერიალური საშუალებანი და შრომის დანახარჯები.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გაუმჯობესდა სილიკომანგანუმის წარმოების ტექნოლოგია, მექანიზებულია შენადნობთა ჩამოსხმა, კირქვის მსხვრევა და სხვ. განსწორიცელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საწარმოო პროგრამის შესრულებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და ასორტიმენტის გადიდებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

მაგრამ ორივე ქარხნის პარტიული ორგანიზაციები და ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ მუშაობენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე. ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. მაგალითად, რუსთავის ქარხანაში საჭიროა მოძველებული ფურცელსაგლინავი დგანის „2100“-ის სრული რეკონსტრუქცია. არ არის გადაწყვეტილი წვრილსორტული მავთულის დგანის მვალცავთა მძიმე ხელშრომის მექანიზაციის საკითხი, კოქსქიმიური საამქროს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა დონეს.

ასევთივე ფაქტები არის ზესტაფონის ქარხანაშიც. პირველ საამქროში მოძველებულია მოწყობილობა არ შეესაბამება ტექნოლოგიურ მოთხოვნებს. სუსტად არის მექანიზებული ხელის შრომა. მეორე საამქროში მზა პროდუქციის დახარისხება და დატვირთვა წარმოებს ხელით, მექანიზებული არ არის კრიჭების გამოყენანა და დაცობა ნადნობის გამოშვებისას. მტკნელ ტვირთს, ქარხანაში მოსულს, ხელით ამუშავებენ.

საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ხშირად ურიგდებიან ნაკლოვანებებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საქმეში, არ უზრუნველყოფენ დროზე საკვლევ და საკონსტრუქტორო სამუშაოთა წარმოებაში დანერგვას. მაგალითად, 1963 და 1964 წლებში ზესტაფონის ქარხანაში უნდა დაენერგათ 24 სიახლე, მაგრამ დაინერგა მხოლოდ ოთხი. გამუყენებელი დარჩა აგრეთვე იაფი დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორიც არის ელექტროლიზური მანგანუმის მიღება, ტატანის კათოდების სამრეწველო გამოცდა, კათოდებისაგან ელექტროლიზური მანგანუმის მოცილების მექანიზაცია და სხვა. ამავე დროს მათი დანერგვა წარმოებაში საშუალებს მისცემდა წარმოების მუშაკებს აღმოეფხვრათ მაღნის დაფქვა და გამოწვა, მტვრისა და გაზის გაჟერცელება ატმოსფეროში, შეემცირებინათ ნედლი მასალების ხარჯვა, პროდუქციის თვითღირებულება.

შემუშავებული თემების მესამედი არ არის დანერგილი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც. თუმცა არის ფონდები, მაგრამ არ დამთავრებულა კაზმის დოზირების ავტომატიზაცია კოქსქიმიურ საამქროში, არ დანერგილა საჭირთა დისტანციური მართვა მარტენის საამქროში, ცეცხვში მოთავსებული ელითნის აწონა ჩამოსხმის კვალობაზე და სხვ. არ მუშაობს არც ერთი გამოსათვლელი მანქანა, რომლებიც ქარხნისათვის დამზადდა 1958 წლიდან.

ქარხნების პარტიული ორგანიზაციები და ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ახალ სიმძლავრეთა ათვისებასა და საცდელ-სამრეწველო დანადგარების მშენებლობას. მიუხედავად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მითითებებისა, შეუწყნარებლად გაჭიანურდა უწყვეტი კოქსვის საცდელ-სამრეწველო დანადგარის მშენებლობა, რაც ჯერ კიდევ 1961 წელს დაიწყო რუსთავში. იმის გამო, რომ ამ საქმეს საკმაო ყურადღებას არ აქცევს სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსაშენებელი მრეწველობის სამმართველო, დღემდე არ შესრულებულა არასტანდარტული მოწყობილობის დამზადების შეკვეთები, რაც დაეკალა ბათუმის მანქანათსაშენებელ და სამსხმელოებს. ეს იქნება „საბავშვო წიგნის კვირეული“. ამ კვირეულის მოწყობა გადაწყვეტა საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში 24-დან 30 მარტამდე.

მეგობროგის კონფერენცია

მოსკოვი, 3 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს აკადემიკოსი ა. ნ. ტუპოლევი. საზოგადოების ორი დღის კონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც დღეს დამთავრდა მეგობრობის სახლში, ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა განვლილ შვიდ წელიწადში მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს ბულგარელ ხალხთან ძმური ურთიერთობის განვითარებისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს სოფიაში ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტის პრეზიდიუმს.

პოეტის უკვდავება

ტალინი, 3 მარტი. (საკდესი). დღეს ესტონეთში დაიწყო საიუბილეო ზეიმი, რომელიც ეძღვნება ესტონეთის ლიტერატურის კლასიკოსის ედუარდ ვილდეს დაბადების 100 წლისთავს (1865-1933 წლები). ზეიმზე ჩამოვიდნენ მოძმე რესპუბლიკათა დელეგაციები.

დღესა ხარიუს ქუჩაზე გაიმართა გამოჩენილი მწერლის მონუმენტის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილი საზეიმო საერთო საქალაქო მიტინგი.

გაიხსნა ედუარდ ვილდეს მემორიალური მუზეუმის ახალი ექსპოზიცია.

საგავშვო წიგნის კვირეული

მოსკოვი, 2 მარტი. (საკდესის კორ.). კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, ბიბლიოთეკებში ბევრ შეიკრიბებიან მხიარული ბავშვები. აქ გაიმართება ლიტერატურული დილები, საღამოები, კინოფესტივალები, ზეპირი ჟურნალები, მკითხველთა კონფერენციები. ბავშვები შეხვდებიან საყვარელ მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, ძველ ბოლშევიკებს, საბჭოთა არმიის მეომრებს, კომუნისტური შრომის დამკვრელებს.

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ. (საკდესი). ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ მწვავი ფინეთის პრემიერ-მინისტრს ი. ვიროლაინენს და აცნობა, თუ როგორ მიმდინარეობდა ფინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოლაპარაკება მოსკოვში ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი გაღვითარების შესაძლებლობათა შესახებ. ფინეთის კომპარტიის დელეგაციამ სთხოვა პრემიერ-მინისტრს, რომ ფინეთმა სახელმწიფო ხაზით დაიწყოს შესაბამისი მოლაპარაკება საბჭოთა ორგანიზაციებთან აღნიშნულ საკითხებზე.

ფინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ვილე პესომ დელეგაციის სახელით პრემიერ-მინისტრს უთხრა, რომ აღნიშნული საკითხები ეხება არა მარტო ფინეთის კომპარტიას, არამედ საერთოდ მთელ ფინეთს. ჩვენი მხრივ ვცდილობდით, გასაცხადა ვ. პესომ, ხელი შეგვეწყო ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაღვითარებისათვის. და ამ მიზნით აღვძარეთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი.

არჩევნები დაიწყო

დელი, 4 მარტი. (საკდესი). დღეს

ბალნარი—ნაჯაობარზე

კოლხიდა გუშინ, დღეს და ხვალ

ნათელი პერსპექტივა

გ. ქოგულია,
საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი

ოცამი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, სოხუმისა და ბათუმის ზონაში მოთავსებულია კოლხეთის დაბლობის 220 ათასი ჰექტარი ფართობი, რომელიც მთლიანად დაჭაობებული იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

თავისი განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების გამო ეს დაბლობი სუბტროპიკული კლიმატის ზონას მიეკუთვნება. მაღალი ტემპერატურული რეჟიმი, ნაყოფიერი ნიადაგები და კლიმატის თავისებურება ამ ფართობების ინტენსიურად გამოყენების დიდ ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან.

ამ მიწების გამოყენებას ხელს უშლიდა დაჭაობება და წყლის რეჟიმის მოუწესრიგებლობა.

ამიტომ ამ მხარის ეს დიდი შესაძლებლობანი ხაუკუნეების მანძილზე გამოუყენებელი იყო. სამელიორაციო სამუშაოები დიდ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვდა სახელმწიფოსაგან, თანხების გამოყოფით კი არავინ იყო დაინტერესებული.

გარდა ამისა, რომ ეს მიწები გამოუყენებელი იყო სოფლის მეურნეობისათვის, დაჭაობებული ადგილები მალარიისა და სხვა ავადმყოფობათა გავრცელების კერა იყო.

სხვათა შორის ფრანგი მოგზაური კოლხეთის შესახებ წერდა: „წვიმა მოდის თითქმის განუწყვეტლივ. მცხუნვარე მზით გახურებული ნესტიანი ნიადაგი ზაფხულში სწამლავს ჰაერს და წარმოშობს მრავალგვარ სნეულებებს, ხშირად ციროსაც კი. ჰაერი აუტანელია, რის გამოც ხალხი გამხდარი, გაყვითლებული, ჩამომხმარი და დაუძლურებულია“.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო სამელიორაციო სამუშაოები კოლხეთში. სახელმწიფომ ამისათვის გამოჰყო სათანადო სახსრები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი. შეიქმნა სპეციალური საშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ალიკვურავ საჭირო **მანქანა** - იარაღებით და დაიწყო მუშაობა საუკუნეების მანძილზე დაჭაობებული მიწების, გასაჯანსაღებლად.

პირველ რიგში სამელიორაციო სამუშაოები ჩატარდა ყველაზე უფრო მძლავრად დაჭაობებული — ფოთის, ხობისა და ცხაკაიას რაიონების მიწებზე. რომლებიც მალარიის წარმოშობის ძირითად კერას წარმოადგენდნენ. დღეისათვის უკვე დაშრობილია 66,6 ათას ჰექტარამდე ფართობი, მოწყობილია საკოლექტორო-დამშრობი ქსელი 2.000 კმ. საერთო სიგრძის არხების სისტემა, გაყვანილია გზები, აშენებულია ხიდები.

მოიხსნა კოღო, მალარია — ეს დიდი მტერი მოსახლეობისა და შეიქმნა კოლხეთის მიწების ხალხის სამსახურში ჩაყენების პირობები.

ამოცანად დასახულია დაშრობილი ფართობების სრული გამოყენება სუბტროპიკული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის.

კოლხეთის მიწები დიდი შესაძლებლობას იძლევა აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროებზე განლაგებული კურორტების ადრეული და საგვიანო ბოსტნეულით მოსამარაგებლად.

ამასთან ერთად დიდი პერსპექტივები იქმნება საკვები ბაზის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს მეცხოველეობის განვითარებას — ხორცისა და რძის წარმოების ზრდას.

დაშრობილი ფართობებს ათვისების დაჩქარების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასახულია კონკრეტული ღონისძიებები. პირველი რიგის ამოცანაა დაშრობი ქსელის, გზებისა და ხიდების კაპიტალური რემონტი, პატარა ფოთის, ცივი-ტეხურისა და ზოგიერთ სხვა უბნებზე ძირითადი კოლექტორების წყლით შეტბორვის ლიკვიდაცია.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მიღებულია დიდი რაოდენობით მიწისმთხრელი მექანიზმები— ექსკავატორები, ბულდოზერები, სკრეპერები და სხვა მანქანები. კოლხეთის ზონაში შეიქმნა მექანიზაციის სამმართველოები.

გასულ წელს კოლხეთის დაშრობილ ზონაში მომუშავე კოლექტივმა დიდი სამუშაოები ჩაატარა, წელს სამჯერ მეტია გასაკეთებელი. რაც მთავარია კოლხეთისათვის შექმნილი მექანიზაციის სამმართველოები არა მარტო ერთდროულ სამუშაოებს შეასრულებენ, არამედ ყოველწლიურად ჩაატარებენ საექსპლოატაციო ღონისძიებებს, რაც დამშრალი ქსელისა და გზების მოვლა-პატრონობას ესაჭიროება.

გარდა ამისა ჩვენს წინაშე დგას მეორე დიდი ამოცანა,—ჩავატაროთ სამელიორაციო ღონისძიებანი იმ ანგარიშით, რომ 220 ათასი ჰექტარი დაჭაობებული ფართობები გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის.

ამჟამად სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს ლანჩხუთის, ხობის, ზუგდიდისა და გალის რაიონებში. ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ჰექტარი ახალი ფართობი ემატება სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულებს.

სპეციალისტების მიერ შედგენილია ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება 220 ათასი ჰექტარი დაჭაობებული ფართობის დაშრობისა და ათვისების შესახებ.

ამ მიწებზე განზრახულია ისეთი კულტურების გაშენება, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, დაფნა, გერანი, ბაზილიკი, ბალები და სხვ. დადგენილია, რომ კოლხეთის დაჭაობებული მიწების ათვისების შედეგად მიღებული ყოველწლიური პროდუქციის ღირებულება 1-2 წელიწადში დაფარავს კოლხეთის დაჭაობებული ფართობების ათვისებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებას, რაც ამ ღონისძიების დიდ ეფექტურობაზე მეტყველებს.

ეს გაკეთდა ხუთწლედებში

ოცამდელ ხუთწლედებში საფუძველი ჩაეყარა კოლხიდის ბაობების დაშრობის გრანდიოზულ გეგმას. ეს სამუშაო დაწყებულ იქნა 1932 წელს. უწინარეს ყოვლისა „კოლხიდმშენმა“ დაამუშავა 220.000 ჰექტარი დაჭაობებული ფართობის დაშრობის პროექტი.

1940 წელს უკვე წარმატება იზეიმა „კოლხიდმშენის“. კოლექტივმა. ფოთისა და ჭალადიდის დაჭაობებული მასივებიდან ხალხის სამსახურში ჩაიდგა პირველი 8 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწა.

ამავე წლებში დიდი სამუშაოებს შესრულდა ქალაქ ფოთის მიდამოებში. თავიდან აცილებულ იქნა წყლის დატბორვება, გაკეთდა მრავალი არხი. ქმედითი ღონისძიებები განხორციელდა მალარიის კერების მოსასპობად.



ქარსაცავი ზოლები კოლხიდის დაშრობილ მიწაზე.

ფოტო კ. ყუფუნიასი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად ჩამოყალიბდა რესპუბლიკური მნიშვნელობის მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტი, რომელსაც დაეკალა საქართველოში მექანიზებული წესით აწარმოოს სამელიორაციო სამუშაოები.

კოლხიდის დაბლობის ტერიტორიაზე შეიქმნა ფოთის, აფხაზეთის, ხობის მექანიზაციის სამმართველოები და აბაშის სამელიორაციო მექანიზაციის უბანი.

1964 წლის განმავლობაში ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები შეიარაღდნენ მოწინავე, თანამედროვე ახალი ტექნიკით (ექსკავატორები ბულდოზერები, ავტოტრეიდერები, სატვირთო ავტომანქანები).

სწორედ ამან შექმნა პირობები დაწყებულიყო ახალი, უფრო მაღალი სტადია კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და ათვისების საქმეში. დღეს სამელიორაციო სამუშაოთა ყველა პროცესი მექანიზებულია.

სამელიორაციო მექანიზაციის სამმართველოების მიერ 1964 წელს მექანიზებული სამუშაოები შესრულდა **მახარაძის** რაიონში 2.000,0 ათასი კუბმეტრის, **ლანჩხუთის** რაიონში — 1.300,0 ათასი კუბმეტრის, **ხობის** რაიონში — 700,0 ათასი

სამელიორაციო სამუშაოთა ყველა პროცესი მექანიზებულია

კუბმეტრის. ცივი-ტეხურის მაგისტრალური არხის გაფართოებაზე 450,0 ათასი კუბმეტრის მოცულობით. ამავე დროს კოლხიდის დაბლობის შიდა ქსელის ალდგენის სამუშაოებზე შესრულდა 1.000,0 ათასი კუბმეტრი მოცულობის მიწის სამუშაოები და სხვ. აიგო 450 ცალი მილხიდი.

ასეთი ძასშტაბის სამუშაოთა შესრულება ერთ სეზონში ურვეულო ამბავია კოლხიდის დამშრობ სამუშაოთა წარმოების ისტორიაში.

დღეს კოლხიდის დაბლობის დასაშრობ ღონისძიებათა კომპლექსში თავმოყრილია 90 ექსკავატორი, 40 ბულდოზერი, 16 ამომძირკველი მანქანა, 80 სატვირთო ავტომანქანა და სხვა მექანიზმები.

1965 წელს უფრო დიდი ამოცანები დასახული სამელიორაციო მექანიზაციის სამმართველოების წინაშე. უნდა ჩატარდეს დასაშრობი ღონისძიებები გალის რაიონში, სამელიორაციო ღონისძიებები ლანჩხუთის რაიონში. მთლიანად უნდა დასრულდეს ცივი-ტეხურის მაგისტრალური არხის რეკონსტრუქცია და სხვ.

წელს განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კოლხიდის შიდასამეურნეო ქსელის აღდგენის სამუშაოებს. ამ ღონისძიებებზე უნდა შესრულდეს 1.500 ათასი კუბმეტრი მოცულობის მიწის მექანიზებული სამუშაოები, კაპიტალურად შეკეთდეს 150 კილომეტრი საავტომობილო გზა, აიგოს 650 მილხიდი. ამ ღონისძიებების განხორციელებით სოფლის შეურნეობას დაუბრუნდება ათასოვით ჰექტარი ნაყოფიერი, მოსაელიანი მიწები.

სამელიორაციო მექანიზაციის სამმართველოებს ჰყავთ შესანიშნავი კადრები, მექანიზატორები. 1965 წელს მეექსკავატორეებმა შ. ხახუბიამ, ვ. საყვარელიძემ ლ. ფურწუბიამ, ბ. მოდებაძემ, ხ. ხარებდიამ და სხვებმა წლიური ფიცალებები 150-300 პროცენტით შეასრულეს.

აღსანიშნავია ის, რომ წელს დამთავრდება ცივი-ტეხურის მასივის დაშრობითი ღონისძიებების განხორციელება. იგი ითვალისწინებს პირველი და მეორე მაგისტრალების გაფართოებას, მდინარე ცივის შეტბორებული წყლის გაყვანას ყორათის მაგისტრალზე, აგრეთვე მდინარე ცივის ქვეშ დიუკერის შშენებლობას. ეს სამუშაო 800 ათასი მანეთი დაჯდება.

დაშრობილი მიწების გამოყენება უფრო ეფექტიური რომ იყოს, საჭიროა სამელიორაციო მექანიზაციის სამმართველოებმა აამაღლონ მექანიზმების მოვლისა და შენახვის კულტურა. ყოველი მექანიზმი გამართულად უნდა მუშაობდეს. მაშინ შეეძლებთ დაკისრებული დავალების სასახელოდ შესრულებას.

შ. ახმეტელი.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის მმართველი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ჩვენი ყამირის მომავალი

ქოლხიდის ზონაში ათეულ ათასობით ჰექტარი დაჭაობებული ფართობია. ეს მიწები ოქროს ფონდია სოფლის შეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

საინტერესოა ვიცოდეთ დაჭაობების გამომწვევი მიზეზები. დადგენილია აქტიურად მოქმედი და პასიურად მოქმედი დაჭაობების ფაქტორი.

პირველს მიეკუთვნება მდინარეების კალაპოტიდან წყლის გადმოსვლა და ფართობების დატბორება წყალდიდობის დროს; მთაგორიანი ადგილებიდან ნიაღვრის წყლის ჩამონადენი, რომელსაც არა აქვს გარკვეული კალაპოტი და ფართობებში იშლება; ნალექები, რომლებიც 2.000 მილიმეტრამდე აღწევს კოლხიდის დაბლობებში. ამ მიზეზებით წლის განმავლობაში კოლხიდის ფართობები შეიძლება დაიფაროს დაახლოებით 5 მეტრი სიმაღლის წყლის ფენით.

დაჭაობების მეორე ფაქტორია ფართობებიდან თვითდინებით წყლის დაწრეტის ძალიან ნელი ტემპი. ეს გამოწვეულია ადგილმდებარეობის მიკრორელიეფით და ხშირი მცენარეულობის გამო გაუვალობით. აგრეთვე მძიმე თიხნარ ყამირებზე წყალი თითქმის არ გაიფილტრება.

ეს ორი ფაქტორი საფუძვლად დაედო როგორც დაგეგმვას, ისე კოლხიდის ჭაობების ამოშრობა-ათვისების მიმდინარეობას.

აგრომელიორაციას გადამჭრელი სიტყვა ეკუთვნის კოლხიდის ჭაობების საბოლოოდ დაშრობა-ათვისებისა და ეკონომიური ეფექტურობის საქმეში, ურომლისოდაც საინჟინრო მელიორაციის სამუშაოთა შესრულება სრული დაშრობის საშუალებას არ იძლევა და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს საექსპლოატაციოდ ჩასაბარებელ ფართობებში ისევ დაჭაობებაა.

ამიტომ საინჟინრო მელიორაციის სამუშაოები პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიება გახდა.

1932 წელს ჩამოყალიბდა „კოლხიდმშენი“, რომელმაც დაამუშავა 220 ათასი ჰექტარი დაჭაობებული ფართობის დაშრობის პროექტი სამ რიგად: პირველი რიგის სამუშაოები ითვალისწინებდა მდინარე რიონსა და მდინარე ხობისწყალს შუა მდებარე 54 ათასი ჰექტარი ფართობის, მეორე რიგის — მდინარე რიონსა და ყინტრიშს შუა 51 ათასი ჰექტარი ფართობის, მესამე რიგის კი მდინარე ხობისწყალსა და მდინარე კოდორს შუა 115.000 ჰექტარი ფართობის დაშრობას.

1954-დან 1965 წლამდე საექსპლოატაციოდ გადაეცა 40.000 ჰექტარი დაშრობილი ფართობები. აქედან 700 ჰექტარი მახარაძის რაიონში, 1.800 ჰექტარი ლანჩხუთის რაიონში, 8.000 ჰექტარი ზუგდიდის რაიონში და 18.000 ჰექტარი გალის რაიონში.

უკანასკნელ ხანებში საექსპლოატაციოდ გადაეცა პატარა ფოთის და ჭალადიდის ფართობების მექანიკურად დამშრობი სატუმბავი სადგური. იგი მომსახურება 1.400 ჰექტარს. ეს ღონისძიება პირველად განხორციელდა კოლხიდაში და, ვფიქრობთ, ფართო გავრცელებას ჰპოვებს.

აგებულია მდინარე რიონის სარეგულაციო სათავე-ნაგებობა ქ. ფოთში. გრძელდება მდინარე ჭოროხისა და მდინარე ფსოუს ნაპირსამაგრი სამუშაოები. 4.000 ჰექტარი ჩაის პლანტაცია დაწვიმებით ირწყვება.

1965 წლის დასაწყისისათვის საინჟინრო-სამელიორაციო სამუშაოები შესრულებულია 76.500 ჰექტარზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ათვისებულია 40.000 ჰექტარი. როგორც ჩანს, საინჟინრო მელიორაციამ დიდად გაუსწრო წინ აგრომელიორაციას. ეს კი ხასიათველი როდია.

ზემდგომმა ორგანოებმა განიხილეს კოლხიდის დაშრობილი ფართობების ათვისების საკითხი და დასახეს ქმედითი ღონისძიებანი. „კოლხიდმშენს“ გამოეყო დიდძალი მიწისმთხრელი მექანიზმები, ავტოტრანსპორტი, თითქმის ერთიორად გაიზარდა დაფინანსება.

კოლხიდის დაჭაობებული ტერიტორია დაიყო სამ სამოქმედო ზონად. შეიქმნა მექანიზაციის სამი სამმართველო: ფოთის (უფროსი ამხ. ა. ცომაია), ხობისა (უფროსი ამხ. ვ. ბერიშვილი) და ტამისა (უფროსი ამხ. ვ. შერანგია).

აღნიშნული სამმართველოები მომსახურებას უწევენ დასავლეთ საქართველოს რვა საექსპლოატაციო სამმართველოს, რომლებსაც აკისრიათ საექსპლოატაციოდ გადაცემული როგორც სარწყავი, ისე დაშრობილი სისტემების მოვლა-პატრონობა.

ახლა, როცა შექმნილია მექანიზაციის მძლავრი ბაზები, დადგა დრო აღარ დავაშოროთ საინჟინრო მელიორაცია აგრომელიორაციას და გაერთიანებული ღონისძიებით წარმართოთ დაპროექტება, მშენებლებმა კი დახარისხებული ათვისებული ფართობები დროულად ჩაბარონ მიწათმოსარგებლეებს.

კოლხიდმშენის კოლექტივმა გასულ წელს ნაყოფიერად იმუშავა. 1964 წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ ჩაბარდა 3.417 ჰექტარი დაშრობილი ფართობები, ანუ გეგმის 126 პროცენტი. გასარწყავებულია 1.170 ჰექტარი ჩაის პლანტაციები (გეგმის 194 პროცენტი) და მოქმედებაშია 3.177 ათასი მანეთის ძირითადი ფონდები.

„კოლხიდმშენის“ საერთო წარმატებებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მექანიზატორებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა: ავტომეკანიკოსებმა ს. ქორიძემ, მეექსკავატორეებმა ნ. ნიკოლეიშვილმა და ფ. სკრიპკამ, მებულდოზერეებმა კ. ალანიამ და დ. იობიძემ, ავტომძღოლებმა შ. წულაიამ და პ. ნადარაიამ, მემონტაჟეებმა ნ. ქობალაკაძემ, ნ. პაპაზასიდმა, მექანიკოსებმა ი. შერაზადიშვილმა, ელექტროინჟინერმა ც. ჭოჭუამ, ჰიდროტექნიკოსმა ჰ. ოდიშარიამ, მთავარმა მექანიკოსმა ა. ლაშხიამ, ინჟინერ-მექანიკოსმა — ვ. ვაშაკიძემ და სხვებმა.

1964 წლის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს „კოლხიდმშენის“ აჭარის სამშენებლო უბანმა (უფროსი გ. ნინიძე, სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ვასაძე), აფხაზეთის სამშენებლო უბანმა (უფროსი ზ. გაბლიანი და სამუშაოთა მწარმოებელი ა. ტყებუჩავა), წულუკიძის სამშენებლო უბანმა (უფროსი გ. გვანცელაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ბ. ჩხენკელი), ლანჩხუთის სამშენებლო უბანმა (უფროსი გ. ხაკაბურიძე, სამუშაოთა მწარმოებელი შ. წურწუმია) და ხობის სამშენებლო უბანმა (უფროსი მ. შუბლაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ვ. გრუშა).

გარდა სამელიორაციო სამუშაოებისა „კოლხიდმშენის“ კოლექტივი მნიშვნელოვან სამუშაოებს აწარმოებს სარწყავ სისტემათა მშენებლობის საქმეში.

გათვალისწინებულია 1965 წელს დამთავრდეს წულუკიძისა და სამტრედიის რაიონების სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის მშენებლობა მდინარე ცხენისწყალზე სოფელ მათხოჯში. იგი სარწყავი წყლით უზრუნველყოფს 25.000 ჰექტარ ფართობს.

წელს დავიწყეთ დიუკერების მშენებლობა მდინარე ცივის, მდინარე ტეხურისა და ნოდელას მიდამოებში. იგი უზრუნველყოფს დიდძალი ფართობების სრულ დაშრობას. განზრახულია მდინარე ხობისწყლის შესართავთან აიგოს მძლავრი სატუმბავი სადგური, რომელიც მდინარე ხობისწყალში წუთში გადაჭიანავს 60 კუბურ მეტრ წყალს.

დასახული უდიდესი ამოცანების დროულად შესრულება დაძაბულ შრომას მოითხოვს. „კოლხიდმშენის“ კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ წელს ახალი წარმატებები მოიპოვოს.

ბ. კვატაშიძე.
„კოლხიდმშენის“ უფროსი.

ძვირფასო მკითხველო!

ეს გვერდი მოგვითხრობს კოლხეთის დაბლობის დიდ სამელიორაციო ღონისძიებებზე.

- ☐ იგი ითვალისწინებს 220 ათასი ჰექტარი ფართობის ამოშრობას.
- ☐ ნვ ათას ჰექტარ ამოშრობილ ფართობზე გაშენდება ჩაი, ციტრუსი, დაფნა, ტუნგო და სხვა მრავალწლიანი ნარგავები
- ☐ უკვე დაშრობილია 66,6 ათასი ჰექტარი. ამჟამად მიმდინარეობს დიდი მუშაობა ამ მიწების ინტენსიურად გამოყენებისათვის.
- ☐ შეიქმნა ახალი მრავალდარგოვანი საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთი“.

საინტერესოა ვიცოდეთ

ციფრები და ფაქტები

● ამჟამად „კოლხიდმშენის“ მიერ დაშრობილ ტერიტორიაზე გაშენებულია 11 საბჭოთა მეურნეობა, 57 კოლმეურნეობა.

● კოლხიდის ათვისებას ემსახურება არა მარტო საბჭოთა კავშირში ცნობილი, არამედ საზღვარგარეთ კარგად გამოყენებული მიწისმწოვი მანქანები. მას ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხანა ამზადებს. ეს ქარხანა ამზადებს სარწყავ აგრეგატებსაც, რომლებიც რწყავენ ჩაის ბუჩქებს. ჩაის ბუჩქების მორწყვას ემსახურება 20 ტრაქტორი საწვიმარი აგრეგატებით. შარშან მოირწყო 600 ჰექტარი ჩაის პლანტაციები.

● ქალაქ ფოთში არსებობს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი. იგი ამზადებს კადრებს, რომლებიც ემსახურებიან კოლხიდის დაბლობის დაშრობას.

● კოლხიდა დაიკისელა არტეზიული ჭებით. ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევა კოლხიდა-არგვეთის გეოლოგიური პარტია ასამდე წყაროს წყალი იქნა ამოყვანილი 200-1.600 მეტრის სიღრმიდან. მარტო შარშან ჩაის პლანტაციებთან, მეცხოველეობის ფერმებთან და სოფლის ცენტრებში 10-ზე მეტი არტეზიული ჭაბურღილი გაითხარა.

● შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა პატარა ფოთის სატუმბავი სადგური, რომელიც ზედმეტი წყლისაგან განტვირთავს სულ ცოტა 1.400 ჰექტარ ფართობს. მისი მშენებლობა 50 ათასი მანეთი დაჯღა, სადგურს 2 კაცი ემსახურება.

● ახლა კოლხიდის ამოშრობას და ახალი მიწების ათვისებას ემსახურება ხობის სამელიორაციო მექანიზაციის სამმართველოს 50 ექსკავატორი, 19 ბულდოზერი, 1 სკრეპერი, 6 ამომძირკველი, 3 ჩირგვის მჭრელი, 16 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 4 ვრედერი, 4 გზისსატკეპნი, 70 ავტომანქანა, 220 მექანიზატორი.

● შარშან შემოდგომაზე ახლადათვისებულ კოლხიდის მიწაზე გაშენდა 500 ჰექტარზე ჩაი, 150 ჰექტარი დაფნა, 1.000 ჰექტარი სხვა ტექნიკური კულტურები.

დაშრობილ მიწებზე სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 1964 წელს 1963 წელთან შედარებით გაიზარდა 8 ცენტნერით. ასევე გაიზარდა ლობიოს და სოიას მოსავლიანობა.



სიუხვე განახლებულ მიწაზე

ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის 329,6 ჰექტარ ფართობზე გალაგებულია ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, ხურმა, ფეიხოა, ხეხილი, დაფნა და სხვ. ერთწლიანი კულტურებიდან თესავენ სიმინდს, სოიას, ბოსტნეულს.

ეს მეურნეობა შეიქმნა 1933 წელს. აქ მთავარი მაგისტრალური არხის სიგრძე 6.650 მეტრია, კოლექტორები 22.000 მეტრი. სადრენაჟო ქსელი კი 227 ათასი მეტრი.

მეურნეობაში (დირექტორი საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი **ალ. ჯანუაშვილი**) ყოველწლიურად მატულობს მოსავლიანობა და ფულადი შემოსავალიც. იგი ამჟამად რენტაბელურია. გასული წელი, მიუხედავად ძლიერი ყინვებისა, კარგი მაჩვენებლებით დამთავრდა. სახელმწიფოს ჩაბარდა 50 ათასი ცალი ლიმონი.

გეგმის გადაჭარბებით ჩაბარდა აგრეთვე მანდარინი, გრეიფრუტი, ფორთოხალი, სუბტროპიკული ხურმა, ბოსტნეული.

რეპორტაჟი

წელს მეურნეობის კოლექტივი მეტი ენერგიითა და მოდღომებით მუშაობს. რომ შვიდწლედის დამამთავრებელ წელს მეურნეობის შემოსავალი ერთიორად გაიზარდოს.

ახალ მიწაზე ყოველწლიურად ზრდის მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებს ზუგდიდის რაიონის ანაკლიის მერძევეობა-მეკვამეურნეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი **ო. ანთია**). მეურნეობას აქვს 3.122 ჰექტარი მიწა. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგული — 1.247 ჰექტარი.

მეურნეობაში კარგად ხარობს ციტრუსები, დაფნა, თხილი, ჩაი. მოჰყავთ სიმინდი, სოია, ლობიო.

ყოველწლიურად იზრდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა. შარშან იანვარში მეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 12.500 ლიტრი რძე, წელს — 25.200 ლიტრი.

პირუტყვის სადღეღამისო მატებამ აქ 450 გრამს ბიაღწია.

ანაკლიელებმა წელს იანვარში სამჯერ მეტი ხორცი აწარმოეს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ასევე გაიზარდა რძის წარმოება.

მეურნეობას ჰყავს 888 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 250 სული ფურკამეჩი და 50 ძროხა. ამ ჯოგს წელს კიდევ 100 სული შეემატება.

ანაკლიელი მეცხოველეები წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 3.600 ცენტნერ რძეს, ანუ გეგმაზე 1.000 ცენტნერით მეტს, 400 ცენტნერ ხორცს, გეგმაზე 100 ცენტნერით მეტს. შარშანდელთან შედარებით ცენტნერი ხორცის წარმოებაზე დანახარჯებს 45 პროცენტით შეამცირებენ.

ახალ მიწაზე ასევე კარგად მოაწყეს მუშაობა ხობის რაიონის პატარა ფოთის, ქვალონის და ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეებმა.

კოლხიდის თვალუწვდენელ მიწას მზე აცხუნებს. ისმის მძლავრი ბულდოზერების, ექსკავატორების, მიწისმწოვი მანქანების გუგუნი. მაღლიანი ხალხი როდი ივიწყებს ჭაობის პირველ დამშრობ ვეტერანებს.

კოლხიდელ მუშას თუ კოლმეურნეს არ დაავიწყდებათ საქართველოს ყამირის ექტარანები ი. ლაღიძე, ა. გაბუნია, ა. ბირკაია, ლ. კოკნაძე და სხვები, რომლებმაც თავიანთი ცოდნა და ენერგია მოახმარეს კოლხიდის ჭაობების ამოშრობის საქმეს.

გ. ნოდია.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: პატარა ფოთის საქაჩ-სატუმბავი სადგური, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1964 წელს.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

ტეხურის ნაპირებთან

ახალ ფელს გაველით, და მდინარე ტეხურის სანაპიროზე ხელმარჯვნივ თქვენს თვალწინ შესანიშნავი სანახაობა გადაიშლება. მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარეები, სულ მაღლა და მაღლა ლერწამივით ამოლტილი თეთრი ხეები იპყრობს ყურადღებას. ალაყაფის კარებში შესვლისთანავე ხედავთ გეგმიანად მოხატულ ვრცელ ტერიტორიას. აქ ყოველი მტკაველი მიწა დაუგეგმიათ სკვერებისათვის, ხეივნებისათვის, ვარდ-ყვავილებისა და დასასვენებელი პარკებისათვის.

— ორი ათეული წლის წინათ, — გვიამბო ტეხურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დ. შამათავამ, — ამ ადგილზე ჭაობები და ტყე იყო. მაშინ ტყის მყუდროებას მხოლოდ მონადირეთა თოფების ჭახაჭუნი არღვევდა. ნადირობდნენ გარეულ იხვებზე, კურდღლებზე და გარეულ ბატებზეც...

ამ გზებზე, — განაგრძო დირექტორმა, — წინათ ლაფში ჩაფლული კამეჩის ურმები ძლივს მიჭრიალებდნენ შეშით დატვირთულნი. ახლა კი მსუბუქი ავტომანქანები დასრიალებენ. აქ, ტეხურის სანაპიროზე, უკვე შეიქმნა სიუხვის მშვენიერი ბოღაზი. წლობით დაჭაობებული, გამოუყენებელი მიწები ჩადგა ხალხის სამსახურში.

სად არ ახმაურდნენ ბულდოზერები, სად არ გაჭრეს საღრენაჟო არხები! ყოველ ნაკვეთს შეეხო ტექნიკისა და შრომისმოყვარე ადამიანების გამრჯე ხელი. ვისაც ახსოვს ამ მიდამოს წარსული, ახლა განცვიფრებაში მოდის და ბუნების გარდაქმნის სასწაულს სიხარულით შეჰყურებს ადამიანებმა ამ მიწაზე დანერგეს და გაახარეს დაფნის კულტურა, მოაშენეს ფუტკარი, გააშენეს ხეხილი, ბამბუკი, განავითარეს მეცხოველეობა...

ორას სამოცი ჰექტარი დაფნამ დაიკავა და უკვე ოცდათორმეტი ჰექტარი სრულმოსავლიანია. ამ ძვირფასმა კულტურამ განაპირობა მეურნეობის რენტაბელობა. შარშანწინ დაგეგმილი იყო 50.000 მანეთი მოგება, ფაქტიურად მოგებამ 100.000 მანეთს მიაღწია. გასულ წელს მოგებამ 161.000 მანეთი შეადგინა.

საინტერესოა ასეთი მონაცემებიც: 1960 წელს ერთი ცენტნერი დაფნის წარმოება უნდა დამჯდარიყო 531 მანეთი, დაუჯდათ 449 მანეთი, 1961 წელს — 292 მანეთი, 1962 წელს — 338 მანეთი, 1963 წელს — 271 მანეთი, ხოლო 1964 წელს ერთი ცენტნერი დაფნის წარმოების თვითღირებულება 25 პროცენტით შემცირდა. ამის შედეგად მიღებულია 30.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ასევე შემცირდა ხილის, ბამბუკის, თაფლის წარმოების თვითღირებულება. კერძოდ, რძის წარმოებისა — 7 პროცენტით, ხორცისა — 9 პროცენტით. ამ წარმატებათა შემოქმედნი ბეჯითი ადამიანები არიან. ყველაზე მოწინავეა პირველი ბრიგადა, რომელსაც ს. ხუნწარია ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა წარდგენილია კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებაზე.

სასახელოდ შრომობენ მეოთხე ბრიგადის წევრები. მათს მუშაობას უნარიანად წარმართავს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეხუთე კურსის სტუდენტი რუზა რევიშვილი.

თითქოს დაუჯერებელი რამ მოხდა მეცხოველეობაში. მუდამ ჩამორჩენილი დარგი მოკლე დროში მოწინავე გახდა. ამ საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი კომუნისტ აპ. ხბიმარიას. მოწინავე ადამიანებმა ნ. გოგბერაიშვილმა, შ. ჭყონიამ, ტ. ფლასანიამ, ნ. მეტილოვამ, კ. ქორჩილავამ, ტ. ჭყონიამ მთელი კოლექტივის ქება და სიყვარული დიმსახურეს. ბევრ მათგანს 200-400 მანეთამდე პრემია ერგო. გასულ წელს პრემიის სახით გაიცა 7.000 მანეთი.

უფრო დიდი პერსპექტივებია გადაშლილი მეურნეობის წინაშე უახლოეს წლებში. ერთიორად გადიდდება დაფნის ფოთოლს, ხილის, თაფლის, ბამბუკის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მეურნეობის ცენტრს დაამშვენებს ახალი გაზონები, სკვერები, საზაფხულო ესტრადა, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლების შენობები.

ყველა კეთილი ადამიანი შეეცდება გონივრული შრომით ამ მეურნეობას უფრო შორს გაუთქვას სახელი.

ნ. ჯანჯღავა.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი. ცხაკაიას რაიონი.



სურათზე: ტეხურის საბჭოთა მეურნეობის ცენტრში.

მიხეილ შოლოხოვის შესავალი სიტყვა

ამხანაგებო! მე დავალებული მაქვს ძალიან საპატიო და პასუხსაგები საქმე — გავხსნა რუსეთის მწერალთა მეორე ყრილობა.

ამას სიხარულისა და თვით ერთგვარი მღელვარების გრძნობით ვაკეთებ, რადგან მესმის, რომ ამ დარბაზისადმი, სადაც თავი მოუყრიათ წარმომადგენლებს დიდი რუსული და ბევრი სხვა შესანიშნავი ლიტერატურისას, რომლებიც რუსეთის სივრცეზე ვითარდება, მოპყრობილია ყურადღება მილიონობით ადამიანისა ჩვენს ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ყრილობის მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩება მსოფლიო საზოგადოებრიობას და, კერძოდ, ბეჭდვითს სიტყვას. რახანრივეველია. მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ გამოუსმაურებიან არა მარტო მეგობრები, ვისაც სულით და გულით ახარებს ჩვენი წარმატებები და აწუხებს ჩვენი ტკივილები, არამედ დანამდვილებით ისურვებენ ჩვენი მუშაობისათვის კომენტარის გაკეთებას მტრებიც. მხედველობაში მყავს ის ბატონები, რომლებსაც თუნდაც პუოს ნუ აჭმევ, ოღონდ ჩვენს საქმეებზე ჭორების გავრცელების საშუალება მიეცი.

დავანებოთ თავი მათ, ჩვენს საზღვარგარეთელ კომენტატორებს. ჩვენ მრავლად გვაქვს საკუთარი საქმეები, რომელთა შესახებ გულახდილად და საქმიანად უნდა მოვითათბიროთ ამ ყრილობაზე, რათა ჩვენს ხალხს, ჩვენს მრავალმილიონიან მკითხველს არ უკვირდეს: რატომ მიუტოვებიათ მწერლებს თავიანთი სამუშაო ადგილები — საწერი მაგიდები — და მათთვის უწვეულო საქმეს ეწევიან — სხდომებს მართავენ. როცა ჩვენს ქვეყანაში უამისოდაც მეტისმეტად ბევრი სხდომა იმართებაო.

ხალხის აზრი კი ის არის, რაც ჩვენ — მწერლებს — ქვეყნად ყველაფერზე ძვირად უნდა გვიღირდეს. იმიტომ, რომ კიდევ როიღა შეიძლება თვითეული ჩვენგანის სიცოცხლისა და მუშაობის გამარჯლება, თუ არა ხალხის ნდობით, თუ არა იმის აღიარებით, რომ ხალხს, პარტიას, ხაშშოლოს ახმარ მთელ შენს ძალასა და ნიჭს.

ვფიქრობ, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ გასაღები შემოქმედებითი ინტელიგენციის პრობლემისა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. თუ, მართლაც, ასეთი პრობლემა საერთოდ არსებობს... უნდა გამოგიტყდეთ, ზოგჯერ მგონია, რომ ძალიან ვაზვიადებთ ამ პრობლემას. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა სათუთად გეპყრობიან. გეხმარებიან, კეთილ სიტყვას ბოულობენ შენთვის, მაგრამ ანა თვითეული ჩვენგანი, **საბ**ჭოთა ინტელიგენტი, პარტიისა და ხალხის მიერ გამზრდილი, მთვალე არ არის თავის მხრივ ორმა სიყვარულითა და შეილის მზრუნველობით ეკიდებოდეს ყველაფერს, რაც ეძნელეს ნახევრსაუკუნოვან ბრძოლაში მოვიპოვეთ ჩვენ ყველამ — ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა მშობლიურმა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩემი პირადი აზრი რომ იკითხოთ, ვიტყოდი, რომ ინტელიგენციის პრობლემა ჩვენში საკმაოდ მარტივად წყდება: იყავი ლენინური პარტიის ერთგული ჯარისკაცი — სულ ერთია, კომუნისტი ხარ თუ უპარტიო, მთელი შენი არსება, მთელი შენი ძალღონე, შენი სული და გული მოახმარე ხალხს. იცოცხლე მასთან საერთო სიცოცხლით, გაუზიარე სიხარულიც და სიძნელეებიც — აი ეს არის მთელი „პრობლემა"!

ჩვენ აქ, მოსკოვში, ერთად უნდა გავატაროთ რამდენიმე დღე. და არა მხოლოდ გავატაროთ, არამედ ვიმუშაოთ. და ვიმუშაოთ დაძაბულად. და ამ დღეებმა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა რომ მოუტანოს ჩვენს საერთო საქმეს, საბჭოთა ლიტერატურას, მოდით წინასწარ შევთანხმდეთ: ვიმუშაოთ შეხმატკბილებულად, როგორც შეჩფერის თანამპოლკელებს, რომელებიც ერთი მიზანი, ერთი საზრუნავი აქვთ. ვსინჯოთ დავიიწყოთ ყველა წვრილმანი წყენინება და გაუგებრობა. დაე პირველ პლანზე იყოს ის, რაც ყველას გვაერთიანებს, — ზრუნვა დიადი საბჭოთა ლიტერატურის ახალი წარმატებებისათვის. ამას ძალიან მოელის ჩვენგან პარტია, ძალიან მოელის მთელი ხალხიც.

ვფიქრობ, სწორად გამიგებთ: მე არ მოგიწოდებთ ყოვლისმეტევებისა და საყოველთაო ამბორისაკენ. მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ ჩვენს ლიტერატურულ, ჩვენს იდეოლოგიურ საქმეებში არის ისეთი პრინციპები, რომელთა



თაგან გადახვევას ყველაზე ახლო მეგობარსაც ვერ აპაპეებ. ჩვენი ერთიანობა მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე, როცა თვალს არ ავიარიდებთ ერთმანეთის შეცდომებს და ვისაზავლით ამას, რომ მოვლენებს თავიისი სახელი ვუწოდოთ. თუ კიდევ გვაქვს რაღაც ისეთი, რაც ხელს უშლის ნორმალურად მუშაობას, ლიტერატურის ნორმალურად განვითარებას, — მოდით უღმობლად აღმოვფხვრათ ეს. თუ კიდევ არიან ჩვენს შორის ისეთები, რომლებიც მზად არიან ზოგჯერ იკეკლუქონ თავიანთი ლიბერალიზმით, დათმონაანა ითამაშონ იდეოლოგიურ ბრძოლაში, — მოდით პირში ვუთხრათ მათ, რასაც ვფიქრობთ.

მეტად დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, მეტად დიდი და ძვირფასი საქმე გვაქვს მოსდობილი, და ამიტომ თავი არ უნდა ავიარიდოთ ფაღლადილ პარტიულ საუბარს.

რა თქმა უნდა, თვითეულ ჩვენგანს აქვს თავისი მტკივნეული საკითხები, თვითეული აქ გამოსულს დანამდვილებით ექნება სურვილი შეეხოს მათ, მოგვითხოროს ლიტერატურულ ორგანიზაციაში თავის ამხანაგთა საქმეებსა და საზრუნავზე. მაგრამ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ჩვენთვის — და ნება მიბოძეთ სპეციალურად გავუსვა ამას ხაზი — მუდამ ვხედავდეთ ჩვენს წინ მთავარ ორიენტირს, ჩვენს მთავარ თემას — ლიტერატურა და ხალხის ცხოვრება, ლიტერატურა და კომუნიზმის მშენებლობა. თუ ჩვენ შევძლებთ შევინარჩუნოთ ეს მაღალი ნოტა, სამღერაც გამოვვიჭა, და ჩვენი ყრილობა გახდება არა უბრალო მორიგი ლიტერატურული ღონისძიება, არამედ მაღალი და ნაყოფიერი შეკრება ადამიანებისა, რომლებიც სურინოზულად ფიქრობენ ცხოვრებაზე და ჩვენს ხელოვნებაზეც.

ჩვენი საზღვარგარეთ საკმაოდ ხშირად გვთხოვენ — ზოგი გულისიანად, ზოგი გაგების გულწრფელი სურვილით — განვიმარტოთ, ასე ვთქვათ, პოპულარულად ავუხსნათ, რა არის სოციალისტური რეალიზმი. მე არ გავწვიე იმის რისკს, რომ ლუკმა წავართვა ჩვენს თეორეტიკოსებს და, როგორც ყოველი პრაქტიკოსი, ძალიან კარგად როდი ვერკვევი მეცნიერულ ფორმულირებებში. მაგრამ ამ კითხვებზე ჩვეულებრივად ასე ვუპასუხებ ხოლმე: სოციალისტური რეალიზმი — ეს არის ცხოვრების სიმართლის, ხელოვნის მიერ ლენინური პარტიულობის პოზიციებიდან გაგებული და გაანრიბული სიმართლის ხელოვნება. ხოლო კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩემი აზრით, სწორედ ის ხელოვნება, რომელიც აქტიურად ეხმარება ადამიანებს ახალი სამყაროს შენებაში, არის სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება.

ის, ვისაც სურს გაიგოს, რა არის სოციალისტური რეალიზმი, გულდასმით უნდა დააკვირდეს საბჭოთა ლიტერატურის უდიდეს გამოცდილებას მისი არსებობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამ ლიტერატურის ისტორია — სწორედ ეს გახლავთ სოციალისტური რეალიზმი, ამირთა ცოცხალ სახეებში და ხალხის ბრძოლის ხილულ სურათებში ხორცშესხმული.

დავ ის დიადი გზა, რაც ნახევარ საუკუნეში განვლო საბჭოთა ლიტერატურამ და, კერძოდ, მისმა ერთ-ერთმა მეწინავეგ რაზმმა — რუსულმა ლიტერატურამ, წარმოსდგეს ჩვენს თვალწინ დღეს, როცა ჩვენ ერთად ვფიქრობთ ხელოვნების ხვალინდელ დღეზე. ჩვენ უდიდესი სიმდიდრე გვაქვს. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საამაყო, ბევრი რამ გვაქვს ისეთი, რაც შეგვიძლია დავუპირდაპიროთ მყვირალა, მაგრამ უნაყოფო აბსტრაქციონიზმს. და თუმცა ჩვენ ვხედავთ, კიდევ რა ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა გავამართლოთ ხალხის ნდობა, თუმცა დიდი ანგარიშით ჯერ კიდევ ქმაყოფილი არა ვართ ჩვენი მუშაობისა, მაინც არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რაოდენ რამ შეიტანა ჩვენმა ლიტერატურამ კაცობრიობის სულიერ საგანძურში, რაოდენ დიადი და უცილობელია მისი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში.

ძვირფასო ამხანაგებო! რუსეთის ფედერაციის მწერლები ჩვენს ქვეყანაში პირველნი შეიკრიბნენ თავიანთ ყრილობაზე. ეს, ასე ვთქვათ, პირველი მერცხალია რესპუბლიკურ ყრილობათა შორის. კარგი იქნება, რომ ჩვენ, რუსებმა, პრინციპულად, საქმიანად და მომთხოვნად ჩავაკვირდეთ ამ ფენომენს. ლენინგრადელ ლიტერატურულ ფორუმზე ჩვენ ბევრი ამ ფენომენის ამოცანა ავიხსენეთ. ეს ამოცანა ისევ ძალაშია. ეს ამოცანა ისევ ძალაშია. ეს ამოცანა ისევ ძალაშია.

საბჭოთა ლიტერატურა და ახალი ადამიანის აღზრდა

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ლ. ს. სობოლევის მოხსენება

რუსეთის მწერალთა II ყრილობაზე

თითქოს თავის უკანასკნელ ბაზზე ზეუნავსო, კაცობრობის გენიამ საუკუნეებში შექმნა საოცარი მოვლენა: რეალობის მსგავსი სახეების სამყარო — ლიტერატურა, თქვა ლ. ს. სობოლევმა, ლიტერატურის არსებობისა და განვითარების ძირითადი და აუცილებელი პირობაა ზუსტი და მიუკერძოებელი შერჩევა, რომელსაც ყოველისშემძლე დრო აწარმოებს. საჭირო — რჩება, რაც საჭირო არ არის — ქრება. — კლასიკა, მისი მარადიული ფასეულობანი, სწორედ ამ ულმობელმა კანონმა შექმნა.

მაგრამ სამართლიან მსაჯულს — დიად დროს არ შეუძლია თანამედროვეთა ნაწარმოებების განსჯა. ჩვენ, კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალების — საბჭოთა ლიტერატურის მშენებლები, ვალდებული ვართ ვიკისროთ იმის შეფასება, თუ რამდენად გამოსადეგია ჩვენი ნაწერები საერთო საკაცობრიო საქმისათვის. თუ შეიძლება ითქვას, ჩვენ ჩვენივე საკუთარი ტექნიკური კოხტაობის განყოფილება ვართ, და, ამასთან მეტად მკაცრი.

შემდეგ მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობა, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ეროვნული პროზა სულ უფრო ყურადღებით აკვირდება თავისი ხალხის ისტორიას, საგულდაგულოდ ეძებს მოვლენათა მიზეზებს, შეფასებას აძლევს თავისი საშობლოს ძნელ გზას, ერთ-ერთ საინტერესო მოვლენად მომხსენებელს მიაჩნია ის ფაქტი, რომ ბევრმა პოეტმა დაიწყო პროზაში მუშაობა, და მეტად საინტერესოდ მუშაობენ. ამ წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული დრამატურგია, რომელშიც თანამედროვეობისაკენ მობრუნების საერთო პროცესმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა.

ყველა ამ ლიტერატურის განვითარება, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება, თავის მკვლევარსა და ისტორიკოსს მოელის, თქვა მწერალმა, როცა ამოკრებდა ეროვნული პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის გარჩევას.

თუ ყოველთვის ვლაპარაკობდით რუსული ლიტერატურის კეთილი გაელენის შესახებ ეროვნულ ლიტერატურებზე, ახლა დადგა დრო დავსვათ „საკითხი რუსეთის ფედერაციის ყველა ეროვნული ლიტერატურის ურთიერთმოქმედებაზე.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო იმ ღონისძიებებს, რომლებიც გამგეობამ განახორციელა კავშირის მთელი შემოქმედებითი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

მთელი ამ წლების განმავლობაში გამგეობა მუდამ ზრუნავდა ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთკავშირისათვის, სურდა გარკვეულიყო ამ ლიტერატურულ პროცესებში, წარემართა მწერალთა ნიჭის ძალა საერთო, საქმის სასარგებლოდ, ხელი შეეწყო იმისათვის, რომ რომანსა თუ პოემას გზა გაკვლილი მთელს საბჭოთა კავშირში. მოხსენებაში ლაპარაკია პლენუმების მუშაობაზე, შემოქმედებითს სემინარებზე, რუსეთის სფსრ მწერლების მოგზაურობაზე მოკავშირე რესპუბლიკებში, მოძმე ხალხთა ლიტერატორების გამოსვლებზე რუსეთში, იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დადგენილებას „რუსეთის სფსრ ლიტერატურის, ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებსა და საშემსრულებლო ოსტატობისათვის სახელმწიფო პრემიების დაწესების შესახებ".

მოხსენებაში დიდი ყურადღება ეთმობა ფუძემდებელ მოვლენებს, რომელებიც მოხდა ორ უკანასკნელ ყრილობას შორის პერიოდში. ეს მოვლენები ორგანულად არის დაკავშირებული ამ საგანგებო ამბებთან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა. რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის შემქნიდან ორი თვის შემდეგ სკკპ XXI ყრილობამ დაამტკიცა შვიდწლიანი გეგმა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნისტური საზოგადოების მატერიალური საფუძვლების შექმნის გზაზე. ხოლო სკკპ XXII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა და კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი. ამავე პერიოდში გაიფურჩქნა მეცნიერული აზრი ცხოვრების ყველა დარგში, ეარსებულ-ვებისაკენ გაფრინდნენ პირველი კოსმოსური ხომალდები. ყოველივე ამან უდიდესი გავლენა მოახდინა და კვლავაც გავლენას ახდენს ლიტერატურულ პროცესზე.

მოხსენებაში გამოყოფილია რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი თემა, რომელთა მხატვრულ დამუშავებას მთელი ამ წლების განმავლობაში ეწეოდა ლიტერატურა. ეს არის თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანის ჩამოყალიბება; ხალხის შრომითი გმირობა შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში; საკოლმეურნეო სოფლის ისტორია ბრძოლებსა; დიდი სამამულო ომი. ყველა ეს თემა გამსჭვალულია ერთი საერთო აზრით, რაც განსაზღვრა სკკპ XX ყრილობამ, რომელიც შემობრუნების მომენტი იყო და რომელმაც პირველად გამოაჯერავა პიროვნების კულტის მრავალი წლის ტრაგედიის მკაცრი სიმართლე.

შეეხო რა საბავშვო ლიტერატურის საკითხებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იგი წარმატებით ვითარდება ყველა ეროვნულ რესპუბლიკაში, ამასთან საბავშვო ლიტერატურაში მუშაობს ბევრი წამყვანი მწერალი. ახალგაზრდობის ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია როგორც თანამედროვეობაზე, ისე ისტორიულ და რევოლუციურ წარსულზე, გამსჭვალულია მაღალი რომანტიკით. შეიქმნა შესანიშნავი წიგნები ჩვენი სამშობლოს ზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

— მსოფლიოს მეუფე შრომა იქნება! — რევოლუციური სიმღერის ამ უბრალო და შთაგონებულ სიტყვებში გამოთქმულია დიადი აზრი. შრომამ შექმნა ყველაფერი, რაც ადამიანს ცხოვრებაში სჭირდება. ადამიანის ზნეობრივი თვისებების საუკეთესო გამომხატველია მთელი დამოკიდებულება შრომისადმი.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის ლიტერატურის ყველა უდავო წარმატებასთან ერთად, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააღრმავა შრომის დიადი თემა და შექმნა ახალი შთამბეჭდავი სახეები, ჯერჯერობით თავისი სრული გამოსახულება ვერ პპოვა მეზრამელ ადამიანთა ფსიქოლოგიის, შეგნებისა და მოქმედების ხარისხობრივი ცვლილების რთულმა პრობლემამ.

მოხსენებაში ბევრი ადგილი დაეთმო სამხედრო ლიტერატურას. გამარჯვების დღის 20 წლისთავის ზეიმზე დაიწყო საზოგადოებრივი მოძრაობა: ყველგან აგებენ დაუპეტულ ძმირთა ძეგლებს, ეძებენ მათი საგმირო საქმეების ადგილებს. წარმოიკვეთ გმირთა სახელების აღდგენა არქივებში. ხალხი სულიერ მოვალეობას იხდის იმით წინაშე, ვინც სიცოცხლის განწირვით იხსნა იგი ფაშისტური მონობისაგან, დაიცვა მისი სახელმწიფოებრივი არსებობა და ძლევამოსილად ასაზის გადადგა რევოლუციის ძალა.

მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც ლიტერატურულ კრიტიკას ეძღვნება, ნათქვამია, რომ კრიტიკა უნდა იყოს საიმედო ფარი მდარე ხარისხის, უფერული ლიტერატურის წინააღმდეგ, იგი ხელს უნდა უწყობდეს ლიტერატურული პროცესის ღრმა გაარკვევას და ხელოვნებას უსახავდეს ახალ ამოცანებს, რომლესაც დროება უკარნახებს. მაგრამ პირნათლად რომ შეასრულოს ეს საზოგადოებრივი მისია, კრიტიკა საჭიროებს საზოგადოებრივ ყურადღებასა და მხარდაჭერას.

მომხსენებელმა განსაკუთრებულ ყურადღება დაუთმო მხატვრულ-ისტორიულ და ისტორიულ-რევოლუციურ ლიტერატურას. მან ხაზი გაუსვა ასეთი ლიტერატურის უდიდეს იდეურ-აღმზრდელობითს მნიშვნელობას. მუშაობამ, რაც ისტორიოსმა სპეციალისტებმა გასწიეს სკკპ XX და XXII ყრილობების შემდეგ, დიდი ძალის იდეოლოგიური იარაღის — „სკკპ ახალი ისტორიის" და მრავალტომიანი „სსრ კავშირის ისტორიის" შექმნამ — ფართო პერსპექტივები დაუსახეს ისტორიკოს მწერლებს.

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისა და ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების პერიოდში ისტორიულ-რევოლუციურმა ლიტერატურამ მასთან ერთად შესაფერი ადგილი უნდა დაიკავოს.

მოხსენების დასასრულს რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ლ. ს. სობოლევმა თქვა, რომ ხალხი განუყოფელია თავისი ეპოქის ფილოსოფიისაგან. ამ ფილოსოფიას კი გამოხატავს და რეალობად აქცევს ამ ხალხის მიერ აღიარებული პოლიტიკური პარტია. მას ეწოდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. უამრავ საქმეთა შორის, რასაც ყოველდღიურად ახორციელებს პარტია, არის ზრუნვა საბჭოთა ლიტერატურის გზებისათვის, რაც, ჩვენდა, ლიტერატორების საბოდნიერიოდ, ერთ-ერთი უმთავრესი საქმეა. ეს დამაჯერებლად აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს გულითად მისალმებაში რუსეთის ფედერაციის მწერლებისადმი.

გუშინ ყრილობაზე

მოსკოვი, 4 მარტი. (საკდესი). დიდი რუსეთი და ყველგან, ყველა მის მხარეში აგრძნობა საბჭოთა ლიტერატურის ინტენსიური მაჯისცემა.

ამის შესახებ მსჯელობდნენ დღეს რუსეთის ფედერაციის მწერალთა II ყრილობის დელეგატები. ყრილობა მუშაობას განაგრძობს კავშირების სახლის ვეტეტიან დარბაზში.

დილის სხდომაზე პირველმა სიტყვა წარმოთქვა **მ. ამირმა** (თათრეთი). მან ილაპარაკა თათრეთის ლიტერატურის განვითარების შესახებ ორ ყრილობას შორის განვლილი ექვსი წლის მანძილზე.

მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა **მ. ალექსეევმა** (მოსკოვი), რომელმაც თქვა, რომ ომის შესახებ დაწერილ ნაწარმოებებში მთავარი უნდა იყოს გმირული მომართულება.

რუსეთის სფს რესპუბლიკის საზოგადოება „ზნანიეს" გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **ი. არტობოლევსკიმ** დელეგატებს გაუზიარა თავისი აზრი ლიტერატურისა და მეცნიერების კავშირზე. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ამ კავშირის განმტკიცება და განსაკუთრებით შეეხო ლიტერატურის ორ ალინს — მეცნიერულ-პოპულარულ და მეცნიერულ-ფანტასტიკურ ლიტერატურას.

ბაშკირეთის ლიტერატურა წარმატებით ძლევს ასაკობრივი პერიოდის სიძნელეებს, რაც დაკავშირებულია სიჭაბუკიდან სიმწიფეში გადასვლასთან, თქვა **ნ. ნაუმმ** (ბაშკირეთი).

ყველაზე პატარა, ყველაზე ცნობისმოყვარე და ყველაზე მადლიერ მკითხველებზე ილაპარაკა **ა. ბარტომ** (მოსკოვი), ბავშვებს უყვართ ლექსი. სადაც გხვდებავთ, სოფელსა თუ ქალაქში, თქვა მწერალმა, გაიჩერეთ ბავშვი, და იგი სიხარულით გეტყვის ხაყვარულ წიგნში დაბეჭდილ ლექსებს. მაგრამ საბავშვო პოეზიის მდგომარეობა აღმაფრთოვანებელი როდია. ბევრი ნაკლია მომბეზეულობა, მდარე გემოვნება.

მ. რუმიანცევამ (ლიპეცკი) ყრილობის დელეგატთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ადგილობრივი პრესა და, კერძოდ, რაიონული გაზეთები უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, მილიონობით მკითხველი გაზეთს რომ გადაშლის ხშირად ხვდება ნაწარმოებებს, რომელთა გმირები დეკლარაციულობისა და პრიმიტივის ჰიბრიდები არიან.

დრამატურგიის შესახებ ილაპარაკა **ვ. პიმენოვმა** (მოსკოვი).

დელეგატებმა ინტერესით მოისმინეს **სამანდატო კომისიის** მოხსენება, რომელიც წაიკითხა **ვ. პოლტორაცკიმ** (მოსკოვი). ყრილობის მუშობაში, თქვა მან, მონაწილეობენ 67 მწერალთა ორგანიზაციის დელეგატები.

მომხსენებელმა დაახასიათა დელეგატთა შემადგენლობა და აღნიშნა, რომ მათ შორის სკკპ 321 წევრი და წევრობის კანდიდატია. საბჭოთა მწერლები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ბოლოს **ნ. ტოლსტოიკოვმა, ა. მარტინოვმა** (მორდვეთის ასსრ), სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ს. პავლოვმა** და სხვებმა.

ხელები ფორს ვიეტნამისაგან!

გულისწყრომა

კოლმეურნე მექანიზატორები აღგვაფოთა ამერიკელ იმპერიალისტთა მუხანათურმა თავდასხმებმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ჩანს, იმპერიალისტები არ ისვენებენ, აღვიებენ ახალი ომის ცეცხლს.

ამერიკელ აგრესორებს მშვიდობისმოყვარე ხალხების უდიდესი ძალა უნდა ვაგრძნობინოთ. ჩვენ, მექანიზატორები, მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ და მხარს ვუჭერთ ვიეტნამელ პატრიოტებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანი შრომის დასაცავად.

ჩვენ, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თქვენთან ვართ, ვიეტნამელო მეგობრებო!

ა. ბენაშვილი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორი

შეწყდეს აგრესია

მთელი მსოფლიო აცხადებს პროტესტს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში. თბილისს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა მასობრივი მიტინგი „ლოზუნგით „შვიდობა და თავისუფლება ვიეტნამს!" შეკრებილებმა აღშფოთება გამოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების ამპერიალისტთა პროვოკაციების წინააღმდეგ ვიეტნამში.

სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ ამერიკელები იყენებენ რეაქტიულ ავიაციას, — თქვა პროფესორმა დ. ზავრიევმა, რომელიც მიტინგზე გამოვიდა. — ამ ახალი აგრესიით ამერიკის იმპერიალისტებმა ნიღაბი აიხადა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბრალო ვიეტნამის ტერიტორიაზე თავი მოუყარეს დიდძალ სამხედრო ტექნიკას. აქ არის ზებგერითი ავიაგამანადგურებელი — ბომბდამშენები.

— ამჟამად, როცა მთელ მსოფლიოში გაიმის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ბოლო მოეღოს ომს სამხრეთ ვიეტნამში, — თქვა პროფესორმა კაკუშაძემ, — ვაშინგტონმა სანქცია მისცა აშკარა მონაწილეობა მიეღო ამერიკის შეიარაღებულ ძალებს საომარ მოქმედებაში ვიეტნამელი პარტიზანების წინააღმდეგ.

მიტინგზე აგრეთვე გამოვიდნენ დოცენტი მ. ადელხანოვი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. გოგოლაშვილი, რომელებმაც შეკრებილთა სახელით მოითხოვეს შეწყდეს შეიარაღებული თავდასხმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, ამერიკელებმა გამოიყვანონ ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება შვიდობისათვის. (საკდესი).

პოლიგრაფისტთა პროტესტი

ამერიკელ აგრესორებს პროტესტს უცხადებენ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშები და მოსამსახურენი. პარტიულის მდივანმა თ. გამცემლიძემ, ხაამწყობთა ხაამქროს უფროსის მოადგილემ ი. დარჩიამ, ხაკინძი ხაამქროს ოსტატმა შ. ხელაძემ, დამკაბადონებელმა შ ვეშაპიძემ გულისწყრომით ილაპარაკეს ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლების შესახებ

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ხმა

საერთაშორისო ცხოვრება

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ჰანოი, 3 მარტი. (საკდესი). წუხელ აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გამოაქვეყნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება ჩრდილოეთ ვიეტნამზე ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის თვითმფრინავების ახალი ავიაზაკური თავდასხმის გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა მეკობრულმა მოქმედებამ, ნათქვამია განცხადებაში, კიდევ უფრო ამხილა ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული და საომარი არსი. ამით ამერიკელმა იმპერიალისტებმა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს ბრძოლა მთელ სოციალისტურ ბანაკსა და მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს, კიდევ ერთხელ უხეშად დაარღვიეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ და საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები.

რაც უფრო თავხედურად შეიჭრებიან ჩრდილოეთ ვიეტნამში ამერიკელი იმპერიალისტები, მით უფრო ძლიერ შეიძულებს მათ სამხრეთვიეტნამელი ხალხი, მით უფრო მტკიცედ იბრძოლებს ხალხი მათ წინააღმდეგ, ჩასცემს ლახვარს და ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გაიმარჯვებს. სოციალისტური ბანაკის წევრს — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას რომ ხელყოფენ, ამერიკელმა იმპერიალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ წაეწყდებიან მთელი ვიეტნამელი ხალხის, მთელი სოციალისტური ბანაკისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ურყევ წინააღმდეგობას. ისინი ჭაეს თუსაგენ და ჭარიშხალს მოიმკიან. მათ სამარცხვინო მარცი მოელით.

ამერესორთა დანაკლისი

ჰანოი, 3 მარტი. (საკდესი). ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის 9 თვითმფრინავი ჩამოაგდეს გუშინ მდინარე ზიანის რაიონში (კუანგ ბინის პროვინცია) და ვინლინის რაიონში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს ვიეტნამის სახალხო არმიის დღეკანდელ კომუნიკეს.

საიდუმლო თავდასხმა

ნიუ-იორკი, 3 მარტი. (საკდესი). დღეს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან, რომელიც და-ნანგში (სამხრეთი ვიეტნამი) მდებარეობს, გაფრენილიყო მეთერთმეტეული ბომბდამშენი ამერიკის 30-ზე მეტი თვითმფრინავი, რომელიც ბომბებითა და რაკეტებით იყო დატვირთული, იუწყება ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი და-ნანგიდან.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, თვითმფრინავებმა ალბათ დაბომბეს „კომუნისტური ობიექტები" ლაოსში.

დღის წესრიგშია ვიეტნამის მდგომარეობა

პარიზი, 3 მარტი (საკდესი). თავის ყოველკვირეულ სხდომაზე დღეს დილით რჩდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მუდმივმა საბჭომ დაიწყო ვიეტნამისა და საერთოდ სამხრეთაღმოსავლეთ აზიის მდგომარეობის განხილვა. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტო.

სსრ კავშირის პავილიონში

ლაიფციგი, 3 მარტი. (საკდესი). ლაიფციგის ბაზრობაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, საბჭოთა კავშირი მისი ერთ-ერთი უდიდესი საზღვარგარეთელი მონაწილეა. სსრ კავშირის პავილიონში, რომლის ფართობი დაახლოებით 15 ათასი კვადრატული მეტრია, გამოფენილია 20 სრულიად საკავშირო საგარეო ვაჭრობის გაერთიანების ექსპონატები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ორგანიზაციათა ექსპონატები.

აქ დილიდანვე ბევრი ხალხი იყრის თავს. დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს პირველივე განყოფილება, რომელიც ასახავს იმას, თუ როგორ არის გამოყენებული ატომური ენერგია მშვიდობიანი მიზნით.

სხვა განყოფილებანი ეძღვნება კვანტური გენერატორების გამოყენებას, საბჭოთა მეტალურგიის მიღწევებს. ავტომობილმშენებლობის პროდუქციიდან გამოფენილია მანქანა „მოსკვიჩ-408", 27-ტონიანი თვითმცლელი „ბელაზ-540", საკვირაო ავტომანქანა „ზილ-130".

— თქვენი გამოფენა მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს და თვალსაჩინოდ მოწმობს კომუნიზმის მშენებარე თქვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების წარმატებებს, განაცხადა ხაჯდესის კორესპონდენტთან საუბარში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, პ

ორი სურათი

ქოლხიდის დაბლობზე

გალაკტიონ ტაბიძე

მალარია! ხან სიმინდი უტყვია
ვით ეს ყანა, ფარცხი, ფაცხა
მეგრული,
გული კაცის მოკლული უტყვიოდ,
ხელები აქვს უბორკილოდ შეკრული,
სასიმინდე ნახე, როგორ მოხრილა,
ძლივს იკავებს ჩამომპალი მორები.
ტაროებიც როგორ მიყრილ-
მოყრილა,
რა სიშმაგით ღრიალებენ ღორები.
არა შორი და ვეღური სპილოა,
არამედ სხვა, სიცხიანი დინება,
რომ გაშლილა — ეს სოველი ტილოა,
მალარიის ყვითლად აბიბინება
აქ აყვავდეს უნდა მხარე ფლორითა,
ბალზე ბალი გესალმება გორიდან —
აქ ასეა, მალე აშრიალდება
ფორთოხალის და ლიმონის ბაღები,
დაიკროლებს სიო ჩვენი შავი ზღვის
და პალმების აიწევა თაღები.
ბურუსში ჩანს სუბტროპიკის
მცენარე,
ამ ჭაობზე ხვალ რომ გადაიშლება,
გაუმარჯოს აყვავებულს ამ არეს,
პირველყოვლის რომ სპობს
გადაშიშვლებას!
1929 წ.

ქოლხიდას

გიორგი ლეონიძე

დავდიოდი კოლხიდაში,
გზები ნარინჯს დაეჩრდილა.
თრთოდა ვარაყშეფრქვეული
ფორთოხალის შუქზე დილა.

ხილთა სხივში მე შევხედე
ახალ ქვეყნის მბრწყინავ სახეს,
გზად ოდების მწკრივი ჩანდა,
„გამარჯვება“ მივაძახე!

გოგოები ბალს თოხნიდნენ
სიცილით და ტკარცალითა,
უმღეროდნენ ოქროს ვაშლებს,
ლილის ცვარით დაცვარილთა.

უმღეროდნენ უხვ მოსავალს,
ტკბილ ცხოვრებას საამურსა,
უმღეროდნენ ახალ ფუძეს,
ძველი — მაგრა ჩაილურსმა!

ევკალიპტი

ტროპიკულ მცენარეთა შორის ყველაზე ძვირფას ხედ შეიძლება ევკალიპტი მივიჩნიოთ. მას „ტყეთა ალმასს“ ეძახიან. ევკალიპტის მერქანს ჭია არ უჭნდება, ის არც მიწაში ლაგება და არც წყალში. ამ ძვირფასმა ხემ ჩრდილი არ იცის, ჭაობის ამოსაშრობად უკეთესი მცენარე არც არსებობს. ეს ხე რასაც ფესვებით წყალს იწოვს, ფოთლებით გამოჰყოფს. კოღოები ვერ იტანენ ევკალიპტის ფოთლის სუნს.

ევკალიპტი მალარიის პირველი მტერია. მას ტროპიკულ ქვეყნებში „სიცოცხლის ხეს“ ეძახიან. ევკალიპტის ნარგავები დიდი რაოდენობით ითვისებენ წყალს და აჯანსაღებენ დაჭაობებული ადგილების ჰავას. სწორედ ევკალიპტის ნარგავებმა ხელი შეუწყო კოლხიდის დაბლობ მიწებზე ჰავის ძირეულად გაჯანსაღებას და მალარიის მოსპობას.

ევკალიპტის დარგვა შეიძლება ყველა რაიონსა და ზონაში, სადაც კი სუბტროპიკული მცენარეობა. გავრცელების მასშტაბით ბუნებრივი ზონის გარეთ მერქნიან ჯიშებში ევკალიპტს პირველი ადგილი უჭირავს. მას შეხვდებით ასზე მეტ ქვეყანაში. ეს მცენარე უკვე გაშენებულია ორ მილიონ ჰექტარამდე ფართობზე.

ზრდის სისწრაფემ და მერქნის მაღალმა ნაზარგმა (განსაკუთრებით ამონაყარ ნარგავებში), რომელსაც მრეწველობაში, მშენებლობაში და ყოფაცხოვრებაში იყენებენ, განაპირობა ევკალიპტის დაჩქარებული გავრცელება. ეს თავისებურებანი მეტად ფერფსი გამოდგა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტყეების კატასტროფულად განადგურებისაგან დასაცავად

ამ კულტურის განვითარებას დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

Ი. ჟაჩიბაია,
საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.

კოლხიდის სიჭაბუკე

ზოგი რამ ისტორიიდან

სამეცნიერო-ისტორიულ ლიტერატურაში მდიდარი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დღეს უკვე სარწმუნოდ არის დადასტურებული, რომ კავკასია და, კერძოდ, საქართველო ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც უძველესი ადამიანი სახლობდა.

პირველი ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებისა და, კერძოდ, **კოლხეთის** შესახებ ანტიკური პერიოდიდან არის შემონახული.

ბერძნები უძველესი დროიდან იცნობდნენ კოლხეთს, რომელსაც საკუთრივ ქართულ წყაროებში ეგრის-ქვეყანა ეწოდება. ბერძნული მითოლოგია კოლხეთს ასახელებს ღეგენდარული ამბების ადგილად. ამ მხრივ ერთ-ერთ პირველ წყაროდ ითვლება მითი კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის შესახებ. ეს მითი შემდეგ პერიოდში საფუძვლად დაედო ანტიკური მწერლობის ცნობილ ნაწარმოებებს. აქ პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ აპოლონიოს როდოსელის წიგნი „არგონავტიკა“ და ევრიპიდეს ცნობილი ტრაგედია „მედეა“.

საერთოდ, ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორები თავიანთ თხზულებებში ხშირად ახსენებენ კოლხეთს. პლინიუსის, სტრაბონის, პტოლომეის, არიანეს, ტაციტის, ჰეროდოტეს, პროკოფი კესარიელის და სხვათა ჩვენამდე მოღწეულ ნაშრომებში ჩვენ ეპოულობთ ისტორიული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და სახელმწიფოებრივი ხასიათის ცნობებს ძველი კოლხეთის შესახებ; შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კოლხეთის იმდროინდელი მოსახლეობის ყოფაცხოვრების ცალკეული სურათები.

ანტიკური მედიცინის და საერთოდ მედიცინის მამამთავრის ჰიპოკრატეს სიტყვებით, კოლხეთი **„არის ქვეყანა ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილი ტყით. იქაურნი მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობებში. ფერი აქვთ ყვითელ-მწვანე, თითქოს სიყვითლით არიანო ავად“...**

სწორედ ამ ჭაობებისა და უცნაური კლიმატური პირობების გამო კოლხეთში გავრცელებული იყო ულმობელი სენი — მალარია, რომელიც მუსრს ავლებდა ადგილობრივ მოსახლეობას...

საუკუნეების განმავლობაში ამ უწყალო სენისაგან დატანჯული და დაბეჩავებული იყო კოლხეთის მკვიდრი მოსახლეობა. ხსნა და საშველი არსაიდან ჩანდა. როგორც ტიციან ტაბიძე წერდა, წყეული, ბოროტი „ბუნება კოლხიდისა, როგორც ჭაობიანი და ციმბიანი ქვეყნისა, როგორც ტროპიკული მალარიის ბუდობისა, უფრო მტკიცდებოდა და ქვეყანას გადაშენებით ემუქრებოდა“.

კოლხეთის მელიორაციის საკითხი დასვა ჯერ კიდევ 1903 წელს ქუთაისის „სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის“ კომიტეტში. ათი წლის შემდეგ ეს საკითხი წამოიჭრა შავი ზღვის სანაპიროების მოღვაწეთა ყრილობაზე. მაშინ დაფუძნდნენ ჯიბესქელი საქმოსნები, რომლებიც მხოლოდ სპეკულაციაზე და პირადი გამდიდრების წყაროებზე ფიქრობდნენ. ზოგმა უცხოელი, კერძოდ, იტალიელი კონცესიონერების მიწვევა განიზრახა. მაგრამ ანგარებით მოქმედი საქმოსნები ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და საქმესაც არაფერი ეშველა.

დიდხანს, დიდხანს იყო კოლხეთი გავერანებული, გაპარტახებული, მაგრამ მოვიდა ახალი ადამიანი, რომელიც თავისი მძლე მარჯვენით დაეპატრონა ამ ქვეყანას და სწორედ ადამიანურობისა და სიკეთის სახელით თავს იდო ამ კუთხის აყვავილნარება.

ეს იყო საბჭოთა ადამიანი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი მკითხველო! თქვენს წინ ორი ფოტოსურათია. ორივე ახალი გადაღებულია, თითქმის ერთ ზონაში — დარჩელსა და ანაკლიაში (ზუგდიდის რაიონი)

ზემოთ, იმ ადგილას, სადაც ახლა გაშლილია დარჩელელი კოლმეურნის **გიორგი ოთხოზორიას** სახლკარი (ამ სახლკარს კომენტარი არ სჭირდება), ცოტა ხნის წინათ ისეთივე ჭაობი იყო, როგორსაც ქვემო სურათზე ხედავთ.

აი რა სიკეთე მოაქვს ადამიანისათვის ჭაობების დაშრობას.

აი რას წერდა ჰიპოკრატე

„ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის მდინარე ფაზისი (რიონი), არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილია ტყით. მთელი წლის განმავლობაში იქ კოკისპირული წვიმები იცის. იქაური მკვიდრნი ჭაობებში ცხოვრობენ, წყალში იშენებენ სახლებს ხისას ანუ წნელისას. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უყრიათ მთლიანი ხისაგან ამოხვეწილი ნავები და ამ ნავებით უვლიან გარშემო თავიანთ ადგილ-მამულებს. ხმარობენ წვიმის წყალს. დუბელასა და სიცხისაგან აშმორებულს. ამ ქვეყანაში ზამთარ-ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბო-სიცივის მხრივ. იცის ზენა ქარი, მაგრამ ხშირად ქვენა ქარიც უბერავს, ფრიად ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო. ამ ქარს „ენენრონს“ ეტყვიან“.

მგზავრებისათვის

მოსკოვი, 3 მარტი. (**საკ**ავშირო კორ.). ოცდაათ საათს უნდება ახლა ჩქარი მატარებელი მოსკოვიდან კისლოვოდსკამდე. მაგრამ სამოქალაქო ავიაციისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა გადაწყვიტეს გახანან მოსკოვ-კისლოვოდსკის მერეული მიმოსვლის ხაზი. ერთი ბილეთით მგზავრი თვითმფრინავით ჩავა მინერალურ წყლებამდე, აქ კი საჭალაქთაშორისო ავტობუსში გადაჯდება, რომელიც მას საკურორტო ქალაქ-კურორტში ჩაიყვანს.

ოდესა, 2 მარტი. (**საკ**ავშირო). სამხრეთ პოლარეთის ზღვებში ვემ „გნევნიზე“ მეოთხე თვეა შრომობს საბჭოთა სამეცნიერო-სარეწაო ექსპედიცია. 35 მეცნიერი თანამშრომელი და გამოცდილი მესარეწე, რომლებიც არაერთხელ ყოფილან ანტარქტიკაში, სწავლობენ ზღვის სხვადასხვა ბინადართა ცხოვრებას, კერძოდ, ვეშაპთა მიგრაციის გზებს.

ექსპედიციის უფროსმა გ. ა. სოლიანიკმა საკავშირო კორესპონდენტისათვის რადიოთი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

ვეშაპებისა და იშვიათი თევზების მხარეში

— ექსპედიცია წარმატებით აწარმოებს ბიოლოგიურ კვლევას ატლანტის ოკეანეში ანტარქტიდის ნაპირების გასწვრივ. თებერვალში ბევრი იშვიათი, ზოგჯერ მეცნიერებისათვის ახალი სახეობის თევზი დავიჭირეთ. მეცნიერებისათვის დიდად საინტერესოა თეთრსისხლიანი თევზები. ექსპედიციის ისთიოლოგიურ კოლექციაში უკვე ათასობით ასეთი თევზია. 80-100 მეტრ სიღრმეში აღმოჩენილია გიგანტური აყურული მუქი ყავისფერი მედუზების უზარმაზარი გროვა.

— ერთი სიტყვით, — განაცხადა დასასრულ გ. ა. სოლიანიკმა, ვაგროვებთ დიდ და ძალიან საინტერესო მასალას.

საშინელი შტორმის შემდეგ, რომელიც სამ დღე-ღამეს გაგრძელდა, აქ შედარებით კარგი ამინდი დადგა. ცხოველები და ფრინველები ემზადებიან ხანგრძლივი გამოზამთრებისათვის. „გნევნიმ“ გაიარა 20 ათასზე მეტი მილი. გემის კოლექტივი მტკიცედ განაგრძობს სამხრეთის ცივი ოკეანის საიდუმლოებათა შესწავლას.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები

ბუასო საგზურები პენსიონერებს

ტყიბულის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ წელს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კურორტის 20 უფასო საგზური გასცა პენსიონერებზე.

პენსიონერი მ. ქასრაშვილი, მაგალითად, გაგრაში ისვენებს, ბორჯომში ისვენებს რ. პეტრეიხინა, წყალტუბოში — ე. მერკო, გაგრაში — არ. ცქიფურიშვილი, ესენტუკში — ტ. ობოლაძე და სხვ.

ამ დღეებში კიდევ რამდენიმე პენსიონერი მიიღებს უფასო საგზურს.

Ი. ჟარჟაშაძე.

მაამაცოგა შემთხვევა

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის რკინიგზის სადგურიდან ქუთაისისაკენ მიმავალი სახალხო მატარებელი ის იყო დაიძრა, რომ ბაქანზე ერთმა ახალგაზრდამ მიირბინა და ვაგონის საფეხურზე შეხტომა დააპირა, მაგრამ ფეხი აუცდა და ვაგონის სახელურს ჩამოეკიდა.

მგზავრს ვაგონის თვლებქვეშ ჩავარდნა ელოდა — მატარებელი სვლას თანდათან უმატებდა. ეს შეამჩნია მილიციის მუშაკმა დავთო სვანიძემ. იგი სწრაფად მიიჭრა ვაგონთან, ახალგაზრდას სწვდა და ვაგონის ბაქანზე აიყვანა. მგზავრი აშკარა დაღუპვას გადარჩა. მამაცმა მილიციონერმა ხალხის მადლობა დაიმსახურა.

შეფყვეტილი სიცოცხლე

ხუთ ერთი ათეული წელი გაგრძელდა პროფესორ იონა ბოჭორიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. 1937 წელს 33 წლისამ დასასრულა სიცოცხლე. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, ი. ბოჭორიშვილმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული სამართლის მეცნიერების განვითარებაში, თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული კადრების აღზრდაში.

მეცნიერებისადმი უდიდესი ინტერესი ი. ბოჭორიშვილს ადრე დაებადა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შეუდგა იგი კვლევითს მუშაობას სისხლის სამართლის დარგში. სულ 32 წლისა იყო, როცა 1936 წელს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება.

ძირითადი იდეები მისი პირველი წიგნისა „მარქსიზმი და სისხლის სამართალი“, რომელიც 1932 წელს გამოიცა, მოცემული იყო ჯერ კიდევ იმ მოხსენებებში, რომლებსაც იგი კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტში პროფესორ ლ. ანდრონიკაშვილის მიერ შექმნილ სემინარზე. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით იზრდებოდა და ყალიბდებოდა ახალგაზრდა მეცნიერი-იურისტი. სტუდენტობის წლებში ი. ბოჭორიშვილი, სამართალთან ერთად, ღრმად დაინტერესდა ფილოსოფიითაც. ამ გარემოებამ განაპირობა მისი კვლევის შემდგომი მიმართულება და ხასიათი. მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით იგი ერთ-ერთი პირველი შეეხო საქართველოში სისხლის სამართლის ზოგიერთ თეორიულ საკითხს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ზოგადფილოსოფიურ პრობლემებთან.

ზემოხსენებულ ნაშრომში — „მარქსიზმი და სისხლის სამართალი“ პასუხისმგებლობის საკითხების გაშუქებისას ი. ბოჭორიშვილი გამოდიოდა მარქსიზმის კლასიკოსთა მოძღვრებიდან თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ. იგი ილაშქრებდა მეტაფიზიკური დეტერმინიზმის წინააღმდეგ, რომელიც თვლის, რომ ადამიანი ფატალური აუცილებლობით სჩადის განსაზღვრულ მოქმედებას და, კერძოდ, დანაშაულებრივ ქმედობას. ი. ბოჭორიშვილის აზრით, თუ უარყოფთ ადამიანში ყოველგვარი არჩევანის თავისუფლებას ე. ი. თუ უარყოფთ მის უნარს თავი შეიკავოს უკანონო მოქმედებისგან, მაშინ სასჯელი დაკარგავდ ყოველგვარ მნიშვნელობას, ვინაიდან მას არ ექნებოდა ძალა გამაფრთხილებელი ზეგავლენა მოეხდინა მერყევ ელემენტებზე.

სხვათა შორის, ამ ნაშრომში მან გაიღაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ტერმინი „სასჯელი“ შეიცვალოს ტერმინებით „სოციალური დაცვა“ ან „სისხლის სამართლის რეპრესია“, რითაც წინასწარ განეგრიტა პოზიცია, რომელიც შემდეგში ამ საკითხზე ახალმა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ დაიკავა. იმ დროისათვის ეს არ იყო უბრალო ტერმინოლოგიური ხასიათის წინადადება, არამედ მასში გამოიხატებოდა სწრაფვა ბურჟუაზიული რეაქციული სოციოლოგიური სკოლის გავლენისაგან განთავისუფლებისაკენ.

პროფესორ ი. ბოჭორიშვილის დაბადების 60 წლისთავის გამო

ნაშრომში „ფ. ენგელსი და დანაშაულის პრობლემა“ ი. ბოჭორიშვილი დაწვრილებით განიხილავს ფ. ენგელსის შეხედულებას იმის შესახებ, რომ კლასობრივ საზოგადოებაში მშრომელი და ექსპლოატირებული მასების წინააღმდეგობა გამოიხატება სხვადასხვა ფორმით — საზოგადოებრივი ურთიერთობის არსებული სისტემის წინააღმდეგ მიმართული ინდივიდუალური, ბრმა, შეუგნებელი პროტესტით დაწყებული („საერთო-სისხლის სამართლებრივი დანაშაული“) და კლასობრივი ბრძოლის შეგნებული აქტებით დამთავრებული („პოლიტიკური დანაშაული“).

ი. ბოჭორიშვილი თვლიდა, რომ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის სრული დაუფლება სისხლის სამართლის პრობლემების კვლევის დროს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სრულყოფილად, ღრმად და ყოველმხრივ იქნება შესწავლილი მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ გამოთქმული აზრები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ი. ბოჭორიშვილმა 1936 წელს გამოსცა ვრცელი კრებული „მარქსიზმი სისტემასა და სასჯელის შესახებ“ (ნაწილი I), რომელშიც შეკრებილია შესაბამისი ტექსტები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებიდან. ავტორის მიერ ამ კრებულისადმი წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ძირითადად განხილულია მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხები.

უმეტესია, ასეთი კრებულის შექმნისათვის საჭირო იყო გულმოდგინე შრომა და ნიჭი მეცნიერი-მოაზროვნისა, რომელმაც შეძლო კეთილსინდისიერად და საქმის ცოდნით სისტემაში მოეყვანა ყოველმხრივ შესწავლილი მასალა და ამით თავისი წვლილი შეეტანა დანაშაულისა და სასჯელის შესახებ მარქსისტული მოძღვრების განვითარებაში.

ზემოაღნიშნული მოზრდილი ნაშრომების გარდა ი. ბოჭორიშვილის კალამს ეკუთვნის სხვა ნაშრომებიც. „ეგი პერიოდულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა სტატიებს, რითაც მხურვალედ ეხმაურებოდა საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხებს. ზოგიერთ მის სტატიას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მაგალითად, სტატიაში „ფართო გზა სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა უბანზე იურიდიული კადრების გამოყენების მიზანშეწონილობისა და სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობის პირთა იურიდიული კულტურის ამაღლების საჭიროების შესახებ. მთელ რიგ სხვა სტატიებში იგი ეხებოდა საბჭოთა პედაგოგიკის ძირითად საკითხებს, სხვადასხვა იურიდიულ და ფილოსოფიურ საკითხებს და ა. შ.

იონა ბოჭორიშვილი 1922 წლიდან იყო სკკპ წევრი. მას ეჭირა მთელი რიგი თანამდებობანი, რომლებიც შესაძლებლობას აძლევდა მოწაფეობა მიეღო უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში და ეხელმძღვანელა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის სამართლის დარგში. ერთ ხანს იგი იყო საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სწავლული მდივანი (1931-1932 წწ.), მუშაობდა დანაშაულობის შემსწავლელი კაბინეტის დირექტორის მოადგილედ (1932-1933 წწ.), განაგებდა სრულიად საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სასწავლო ნაწილს (1934-1935 წწ.). სიცოცხლის უკანასკნელ წელს ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი. რამდენიმე წლის განმავლობაში უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა საბჭოთა სისხლის სამართლის კურსს.

ყველასათვის, ვინც კი იცნობდა ი. ბოჭორიშვილს, დაუვიწყარია ნათელი სახე ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, ნიჭიერი მეცნიერისა, უაღრესად გულწრფელი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანისა, რომელიც არასოდეს არ მიდიოდა კომპრომისზე თავის სინდისთან მეცნიერული ეშმარიტების ძიებისა და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების რთულ გზაზე.

Проф. Т. წერეთელი.
Проф. Ი. სურგულაძე.
З. მაყაშვილი.

სპორტის ამბები

საბჭოთა წყვილი — საუკეთესო

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკ**ავ**შირო). ოლიმპიური ასპარეზობისა და ევროპის პირველობაზე გამარჯვებულებმა შესანიშნავმა საბჭოთა სპორტსმენებმა **ლუდმილა ბელოუსოვამ** და **ოლეგ პროტოპოპოვმა** ამერიკის ქალაქ კოლორადო-სპრინგსში მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაც წყვილთა ციგურაობაში.

ეერცხლის მედლები მოიპოვეს ამერიკელებმა ვივიან და რონალდ ჯოზეფებმა. ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ ახალგაზრდა მოსკოველი მოციგურავენი ტატიანა უუკი და ალექსანდრე გორელიკი.

მსოფლიო ჩემპიონატი ტამპერეში

გუშინ ფინეთის ქალაქ ტამპერეში დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში.

პირველი მატჩების შედეგები ასეთია: ჩეხოსლოვაკია-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 5 : 1, შვეიცარია-ამერიკის შეერთებული შტატები 5 : 2, სსრ კავშირი-ფინეთი 8 : 4.

კორტეგზე

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, რომელიც „შახტიორის“ კორტებზე მიმდინარეობს, ფინიშს უახლოვდება.

ვაუთა მეოთხედფინალში პარმასმა დაამარცხა ლიხარევი (ორივე საბჭოთა კავშირიდან) 6 : 3, 6 : 1 და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში გავიდა აგრეთვე სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ლეიუსი, რომელმაც მოუგო ჩეხოსლოვაკიელ შტრობლს 6 : 0, 6 : 2; ქალთა შორის მეოთხედფინალებში წარმატება ხვდათ დმიტრიევსა (სსრ კავშირი) და შულგაცეს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და ნახევარფინალში გავიდნენ.

საინტერესოდ წარიმართა ვაუთა წყვილების შეჯიბრება. ლეიუს-ლიხარევმა მოუგეს ელშენბროიხ-ვახილევს. გამარჯვებულები შეხვდებიან მეტრეველ-მძინარიშვილის წყვილს.

სტანისლავსკის სკოლის ტრიუმფი

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობები სამშობლოში დაბრუნდნენ

დღეს დედაქალაქი შეხვდა თავის საყვარელ მსახიობებს — სამხატვრო თეატრის დასს, რომელმაც გასტროლები დაამთავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნიუ-იორკში ერთ თვეზე მეტ ხანს გამოდიოდა 24 სსრ კავშირისა და რუსეთის ფსკერ სახალხო არტისტი და 13 რუსეთის დამსახურებული არტისტი.

თეატრ „სიტი სენტრის“ სცენაზე დასმა 31 სპექტაკლი დადგა.

„თეატრალურ მატარებელს“, რომელიც ლენინგრადის ვოკზალში მოვიდა, ასობით მოსკოველი შეხვდა. ბევრ მათგანს ხელში ეჭირა გახაფხულის პირველი ყვავილები. ტაშთა და აპლოდისმენტებმა ხელებით მიესალმნენ ისინი მსახიობებს.

სამხატვრო თეატრის გასტროლები ამერიკაში, თქვა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის დირექტორმა ბ. ე. პო